გაზეთი ბოლოვანა, „ოლოგანა" ოლითი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№71 (966) 4 - 6 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

საქართველო

უზენაესის სტატისტიკა 2014 წლის 5 თვე

გვ.7

უგულავას „გულობა" დასრულდა!



გვ.3

ყოფილი მერი დაკავებულია — გაიზიარებენ თუ არა მის ბედს კობა სუბელიანი, დავით კეზერაშვილი, მამუკა ახვლედიანი...

„მასტერას" მასტერკლასი

დათა ახალაიას „მარჯვენა ხელის", გიორგი დგებუაძის გაუხმაურებელი ბინძური საქმეები

გვ.5

„გიგი უგულავა მეორე ტურს მსხვერპლად შეეწირა ან შეწირეს"

როგორ აფასებს პროკურატურის მუშაობასა და ნაციონალების დაკითხვა-დაპატიმრებებს ყოფილი პროკურორი **გიგლა აგულაშვილი**

გვ.4

როგორ „მოინათლა" შეყვარებულის გამაუპატიურებლის მკვლელი ტატო ტარასად

„აბრეზით" ჯიპში ჩაცხრილული პოლიციელი, მოსყიდული დაზარალებულის შეცვლილი ჩვენება და „მაღალეტვისთვის" უპრეცედენტო 15-წლიანი სასჯელი

გვ.6

რიკოთის მიდამოებში მეწყერის გახშირებას ტყის უმოწყალო ჩეხვას აბრალებენ

მთავრობა უღელტეხილთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავებს

გვ.8

საქართველოში სიღარიბის ზღვარსმიღმა 440 500 ოჯახია

სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები იცვლება. კერძოდ, ოჯახების შეფასება, ძირითადად, ობიექტურ ინფორმაციებს დაეფუძნება, რომელსაც სოციალური აგენტები ოჯახის წარმომადგენლებისგან ან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ბაზებიდან მიიღებენ. მცირდება მოქმედი აგენტის სუბიექტური შეფასების რისკებიც, როცა ოჯახის წევრთა ჩაცმულობისა თუ ჰიგიენის საშუალებების გამო მოქალაქეები სახელმწიფო დახმარებებს ვერ იღებდნენ.

3 ივლისს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სწორედ შეფასების ახალი მეთოდოლოგიის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც მინისტრი დავით სერგეენკო, გაერო-ს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელი საქართველოში საშა გრაუმანი, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი გაიოზ თალაკვაძე და სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

როგორც პრეზენტაციაზე ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების არსებულ კრიტერიუმებს გააჩნდა ორი ჯგუფის ხარვეზები. კერძოდ, დასაშვებზე მეტი იყო სოცაგენტების მიერ ოჯახების სუბიექტური შეფასება და ასევე, არსებობდა ხარვეზები თავად მეთოდოლოგიაში — ქულების მინიჭების სისტემა ერთგვარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოიყენებოდა. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში 440 500 ოჯახი სიღარიბის ზღვარსმიღმა იმყოფება და სახელმწიფოსგან დახმარებას იღებს. რა გავლენას მოახდენს სამინისტროს მიერ დაანონსებული ცვლილებები სოციალურად დაუცველთა ოჯახების რაოდენობაზე, ამ ეტაპზე, მინისტრ დავით სერგეენკოს პროგნოზირება უჭირს: **„გაერო-ს ბავშვთა ფონდთან ერთად ჯანდაცვის სამინისტრო შეიმუშავებს ახალ მეთოდოლოგიას, რომელიც იქნება სამართლიანი და გამჭვირვალე, იმ სისტემასთან შედარებით რაც ადრე იყო. ამ ეტაპზე ძნელია პროგნოზირება, რამდენად შეიცვლება ბენეფიციართა რაოდენობა ახალი მეთოდის გამოყენების შემდეგ, თუმცა შეფასების კრიტერიუმები სამართლიანი გახდება“.**

გაერო-ს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელის, საშა გრაუმანის განცხადებით კი, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. კერძოდ, მოიმატა ხანდაზმულობის პენსიის ოდენობამ და გაიზარდა მიზნობრივი სოციალური დახმარება, თუმცა მისი განცხადებით, ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შემცირებულა: „ამ ცვლილებებმა ნაკლები გავლენა მოახდინა იმ 50 000 ბავშვზე, რომელიც სიღარიბის ზღვარსქვემოთ იმყოფება და დღეში მხოლოდ 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს, ასევე იმ 250 000 ბავშვზე, რომლებზეც დღეში ოთხ ლარზე ნაკლებს იხარჯება. ბოლო მონაცემებით, სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი ბავშვების რაოდენობა 25%-დან 27%-მდე გაიზარდა, რაც ცხადყოფს, რომ საჭიროა, სოციალურად დაუცველი სისტემის გადახედვა და ახალი მექანიზმების შემუშავება, რომელიც უფრო დახვეწილი იქნება და მეტად დაეხმარება გაჭირვებულ ოჯახებსა და სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებს. სიღარიბეში რაც ნაკლები ბავშვი ეყოლება ქვეყანას, მომავალში სოციალური დაცვის სისტემაც ნაკლებ დატვირთვას მიიღებს. ამდენად, UNICEF ხელისუფლებას შეფასების ახალი მეთოდოლოგიასთან ერთად, ბავშვებისთვის დამატებით თანხების გამოყოფასა და ფულად შეღავათებს სთავაზობს“.

როგორც სამინისტროში განმარტეს, UNICEF-ის შეთავაზება ჯერ მხოლოდ განხილვის ეტაპზეა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის დამატებითი ღონისძიებების გატარება ჯერ არ გადაწყვეტილა.

საბოლოოდ, არც შეფასების ახალი კრიტერიუმებია შერჩეული. როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, გაერო-ს ფონდმა ჯანდაცვის სამინისტროს ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის რამდენიმე მოდელი შესთავაზა და სასურველის შერჩევის პროცესი გრძელდება. მინისტრის განცხადებით, უწყება შეარჩევს მოდელს, რომელიც საქართველოს რეალობას მეტად მოერგება.

რუსუდან შელია

თბილისში პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა იწყება

თბილისში, გამსახურდიას გამზირზე, N46-ში პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ, შსს-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გურამ ტომარაძემ და ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსმა გიორგი დალაქიშვილმა პოლიციის ძველი შენობის ადგილზე ახალი შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩადეს.

ოთხსართულიანი, თანამედროვე შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით იქნება აღჭურვილი. ახალ შენობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახური: ქალაქ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფები განთავსდება. აღნიშნული სამსახურები დღემდე სხვადასხვა შენობაში იყო განლაგებული. მათი ერთ ადმინისტრაციულ შენობაში განთავსება კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს კოორდინირებულ, ოპერატიულ და ეფექტურ საქმიანობას, მოქალაქეებისთვის კი ბევრად კომფორტული იქნება. ახალ ადმინისტრაციულ შენობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალური პანდუსები ექნება.

„ვერსიანიუსი“

რუმინეთმა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა

რუმინეთის პარლამენტმა ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება დაასრულა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პარლამენტის ქვედა პალატამ ასოცირების შესახებ შეთანხმება რიგგარეშე სხდომაზე, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, 298 ხმით არც ერთის წინააღმდეგ, დაამტკიცა. ქვედა პალატის შემდეგ, ხელშეკრულება რატიფიცირებისთვის რუმინეთის სენატს გადაეგზავნა. სენატორებმა ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება, 111 ხმით არც ერთის წინააღმდეგ, მოახდინეს.

ხელშეკრულების ირგვლივ დებატებში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ პონტა და საგარეო საქმეთა მინისტრი ტიტუს კორლაციანი მონაწილეობდნენ. მათ ამ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებების გაფორმებას ისტორიული მოვლენა უწოდეს.

რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა კანონმდებლებს რუსეთის მხრიდან შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერის გაძლიერებისკენ მოუწოდა: **„რუმინეთი ევროკავშირის პირველი წევრი სახელმწიფოა, რომელმაც ასოცირების შესახებ შეთანხმებების რატიფიცირება მოახდინა. რუმინეთის მხრიდან ეს გახლავთ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროპული ინტეგრაციის პროცესის ურყევი მხარდაჭერის კიდევ ერთი დემონსტრირება. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პარლამენტების, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევა ძალაში“.**

„ინტერპრესნიუსი“

სტრასბურგში სამართლებრივი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს გამარჯვებით დასრულდა

სტრასბურგის სასამართლომ საჩივარზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოაცხადა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთმა საქართველოს დაზარალებულ მოქალაქეებს კომპენსაცია უნდა გადაუხადოს, კომპენსაციის ოდენობა კი 12 თვის ვადაში მოლაპარაკებების გზით უნდა განისაზღვროს.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ შვიდწლიანი განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება ღია სხდომაზე გამოაცხადა.

საქართველოს სახელით გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჩაიბარა.

2007 წლის 26 მარტს საქართველოს მთავრობამ სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორისი საჩივარი შეიტანა. საჩივარი უკავშირდება რუსეთის მიერ 2006 წლის შემოდგომაზე გატარებულ სადამსჯელო პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების დევნასა და შევიწროებაზე და მიზნად ისახავდა ქვეყნიდან მათ მასობრივ გაძევებას. 2009 წლის 15 დეკემბერს საქმის განმხილველმა პალატამ, საჩივრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქმე განსახილველად სასამართლოს დიდ პალატას გადასცა. 2011 წლის 31 იანვრიდან 2011 წლის 4 თებერვლამდე დიდი პალატის 17 მოსამართლის წინაშე გაიმართა მოწმეთა დაკითხვა. ამ პროცედურის ფარგლებში დაიკითხა მხარეთა მიერ წარდგენილი 10-10 მოწმე. 2012 წლის 13 ივნისს გაიმართა ბოლო საჯარო სხდომა და პროცედურა დაიხურა. ბოლო სხდომის შემდეგ შედგა თათბირი, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება.

იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ეს ფაქტი ყველა იმ ქართველს მიულოცა, რომელიც გახდა დამამცირებელი მოპყობის მსხვერპლი: **„მივულოცავ ამ გამარჯვებას და ვეტყვი, რომ ევროპულმა სასამართლომ მათი უფლებები დაიცვა“.**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანი უწოდა. მისი თქმით, ყველა კითხვას გაეცა პასუხი: **„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალი, სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს. რაც მოხდა, ეს სამწუხარო ფაქტი, იყო წარსულში და სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, ყველა კითხვას პასუხი გაეცა“**.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე კი აცხადებს: „ესაა სამართლიანი გადაწყვეტილება და მინდა, მივულოცო ყველას, ვინც ამ სარჩელის უკან იდგა და აღვნიშნო ისიც, რომ, სამწუხაროდ, დღესაც ირღვევა ადამიანთა უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე. იმედია, ეს გადაწყვეტილება იქნება ერთგვარი გაფრთხილება რუსეთის ფედერაციისთვის, რომ სამართალი არსებობს. იმედია, მსგავსი სარჩელის საფუძველი აღარ მოგვეცემა, რადგან ვცდილობთ, კონსტრუქციული ურთიერთობები დავამყაროთ რუსეთთან“.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე აცხადებს, რომ არა მხოლოდ საქართველომ, არამედ სამართალმა და სიმართლემ გაიმარჯვა: **„საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის უმნიშვნელოვანესია ეს ინფორმაცია. ეს ძალიან კარგი ფაქტია ჩვენი შიდასტაბილურობისთვის, იმ პროცესებისთვის, რომელიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ დაიწყო: სამართლიანობის აღდგენა, კანონიერების დაცვა“.**

„ვერსიანიუსი“

უგულავას „გულობა“ დასრულდა!

ყოფილი მერი დაკავებულია — გაიზიარებენ თუ არა მის ბედს კობა სუბელიანი და მამუკა ახვლედიანი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ეს ერთი, ეს ორი, წავიდაა“ — ამ სიტყვებით და სახეზე მხიარული გამომეტყველებით მერყოფილმა გიგი უგულავამ ხელბორკილი ორივე ხელზე მოირგო და თბილისის აეროპორტიდან, კიევის ნაცვლად, პირდაპირ „მოდულის“ შენობაში აღმოჩნდა. ნაციონალების საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი აეროპორტში 3 ივლისს, დილის 6 საათზე დაიჭირეს, თუმცა დაკავების მომენტში მისთვის კონკრეტული ბრალი არ წაუყენებიათ. როგორც მისმა ადვოკატმა გიორგი გელხაურმა მოგვიანებით განაცხადა, დაკავების ოქმში უგულავას უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია უწერია. ცნობილია ისიც, რომ უგულავას 4 ივლისს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ელოდნენ, თუმცა სახელისუფლო გუნდმა მისი კიევში გამგზავრება საგამოძიებო პროცესის აბუჩად აგდებად შეაფასა და უგულავას „ტრაპიდან ჩამოხსნა“ გადაუდებელი აუცილებლობით ახსნა.

დაძაბული ვითარების მიუხედავად, ექსმერმა, რომელიც კარგ განწყობას ბოლომდე ინარჩუნებდა, ჯერ კიდევ აეროპორტში რამდენიმე სიტყვა მაინც ჩააგდო: **„აქამდე ვთამაშობდით დამალობანას, ახლა ვითამაშებთ დაჭერობანას. მერე ისევ დავუბრუნდებით დამალობანას, მერე ისევ დაჭერობანას... იმის გამო მაკავებენ, რომ ბიძინა ივანიშვილს თავს არ ვუხრი და არც არასდროს დავუხრი. აუცილებელი იყო, ნიღაბი ჩამომეხსნა ამ სისტემისთვის და აი, ჩამოვხსენი კიდეც“,** — ამით უგულავამ, თავისდაუნებურად, აღიარა, რომ „დამალობანა“ არ გამოუვიდა. ისიც ნაკლებად სავარაუდოა, აეროპორტში „დაჭერობანას“ მერე „დამალობანას“ ახალი ეტაპი დაიწყოს და საგამოძიებო სტრუქტურებმა მისი კიდევ ერთხელ გამოშვებით, თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენონ. როგორც მთავრობის სხდომიდან გამოსულმა შს მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ განმარტა, უგულავა მრავალ ფინანსურ მაქინაციასა და სახელმწიფო ფულის გაფლანგვაშია ბრალდებული. შესაბამისად, იგი გაფრთხილებული იყო რომ ქვეყნის ტერიტორიიდან არ გასულიყო: **„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გაფრთხილების მიუხედავად, მან გადაწყვიტა ქვეყნის დატოვება, რის გამოც დააკავეს“**. სხვათა შორის, დაკავების მომენტში, ადვოკატის გარდა, უგულავასთან ერთად გიგა ბოკერიაც იმყოფებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ ივანიშვილი და „მისი მონები“ პოლიტიკური დევნის ტრადიციას ამკვიდრებენ, რასაც ქართული დემოკრატია ეწირება. ნაციონალური მოძრაობის სხვა წევრები „მოდულის“ შენობასთან დილის 8 საათიდან გამოჩდნენ, შუადღისას კი მერობის მათმა კანდიდატმა, ნიკა მელიამ პარტიის ცენტრალურ ოფისში სპეციალური ბრიფინგი ჩაატარა და ბოლო ამოსუნთქვამდე ბრძოლა დააანონსა. ფაქტს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა უკრაინიდან და განაცხადა, ამით ვერც პოლიტიკურ პროცესებს შეაჩერებენ და ვერც არჩევნების ბედზე მოახდენენ გავლენასო. მოდულის შენობასთან, მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა უგულავას მხარდამჭერი აქციებიც. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ლოგიკური კითხვები მართლაც ჩნდება: **რას ნიშნავს ნაციონალების შტაბის უფროსის დაკავება მეორე ტურის წინ, გამოცხადებული პოლიტიკური მორატორიუმის პირობებში? რატომ დაემთხვა მისი რამდენჯერმე დაკითხვა საარჩევნო ციებ-ცხელებასა და წინასაარჩევნო პერიოდს? გაუკეთა თუ არა სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსულმა ხელისუფლებამ თბილისს საარჩევნო საჩუქარი და მერყოფილის სწორედ ახლა დაკავება არჩევნების მოგების სტრატეგიად აქცია?** — ამ კითხვებს „ოცნების“ ხელისუფლება ვერსად გაექცევა ისევე, როგორც გიგი უგულავა ვერ „დაემალა“ მთელ რიგ ბრალდებებს! „ვერსია“ მუდმივად წერდა მოქმედი მერის თაღლითურ ტენდერებზე, ნაციონალების სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად განხორციელებულ ფინანსურ მაქინაციებზე, მერიის მიერ უკანონოდ გასხვისებულ თუ მითვისებულ მიწებზე; ვწერდით უგულავა-კეზერაშვილის თაღლითურ სქემაზე, მისი აწუკვე დაკავებული ქვისლის, გიორგი ღონიაშვილის ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის შავი ფულით ნაციონალების დაფინანსებაზე, „სითი პარკის“ უკანონო ქმედებებზე, მის განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაყენებაზე და ა.შ. როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა ფუჭად არ ჩაიარა და უკვე ის სავარაუდო სქემებიც იკვეთება, რამაც შესაძლოა, თბილისის ყოფილ „მამამთავარს“ ბრალეულობა დაუმძიმოს.

საქმეები, რამაც შესაძლოა, უგულავას ბრალი დაუმძიმოს

როგორც ვიცე-პრემიერმა, კახა კალაძემ განაცხადა: **„გიგი უგულავას დაკავება სიახლე არ უნდა იყოს. ძალიან ბევრი კონკრეტული თემაა, რაზეც ბატონ უგულავას განმარტებების გაკეთება მოუწევს“. პირველი,** რაზეც უგულავა განმარტებებს გააკეთებს, მისი და კეზერაშვილ-ღონიაშვილის ფინანსურ მაქინაციას ეხება, რომელიც საგამოძიებო სამსახურებმა ზედმიწევნით გაშიფრეს. უგულავას დაკავებიდან ზუსტად 6 საათში, სპეციალურ ბრიფინგზე ითქვა, რომ ოფშორში, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორის, ლატარიის კომპანია „ექსიმუს ჰოლდინგის“ დირექტორი, ბრალდებულის სახით ძებნილი ალექსანდრე გოგოხია, ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე, თანხას რიცხავდა ასევე ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის, „ბრუქთრეიდის“ ანგარიშზე. აქედან, ფიქტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა უკვე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაში მოდიოდა. ამ თანხის კონვერტირების შემდეგ კი იგი გიორგი ღონიაშვილს გადაეცემოდა. პატიმრობაში მყოფი ღონიაშვილი ამ უკანონო შემოსავალს გიგი უგულავას აწვდიდა და ეს უკანასკნელი თანხას ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებისთვის იყენებდა. ჯამში, ოფშორული კომპანიიდან საქართველოში, ფულის გათეთრების გზით, 1 500 000 აშშ დოლარი უნდა გადმორიცხულიყო. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად კი უგულავამ მხოლოდ ნახევარი, 760 000 აშშ დოლარის გადმორიცხვა მოასწრო. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, უგულავას თავისუფლების აღკვეთა 9-დან 12 წლამდე ემუქრება. „ვერსია“ ნაციონალების ხელისუფლების დროსაც აქვეყნებდა ჟურნალისტურ გამოძიებებს, სადაც უგულავას ქვისლი, გიორგი ღონიაშვილი ფიგურირებდა. სწორედ ღონიაშვილი ჩადგა თბილისის მერიასა და „გუდაური სქაი რესორტს“ შორის, როცა კომპანია ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 193 500 დოლარით დაჯარიმდა. მაშინ ღონიაშვილმა კომპანიის მფლობელს, ბიზნესმენ გიორგი კაპანაძეს შესთავაზა, 200 000-მდე ჯარიმის სანაცვლოდ, 50 000 გადაეხადა, ხოლო ღონიაშვილი თავის ქვისლ უგულავასთან უშუამდგომლებდა და ამ ჯარიმას ოფიციალურად მოახსნევინებდა. ეს გარიგება შედგა და ღონიაშვილმა ,,გუდაური სქაი რესორტის“ ხელმძღვანელისგან დაპირებული 50 000 ლარი აიღო.

მეორე თემა, რაც უგულავას თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია, თბილისს „ტკივილს“, კომპანია „სითი პარკს“ ეხება. საუბარია 2007 წლის 7 დეკემბერს ,,სითი პარკსა“ და თბილისის მთავრობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომლითაც უგულავას სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის, 1 086 718 ლარის გაფლანგვა ედება ბრალად. პროკურატურა უგულავასთვის, აღმკვეთ ღონისძიებად, 50 000-ლარიან გირაოს ითხოვდა, მაგრამ სასამართლომ არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რითაც მთელი დედაქალაქის უკმაყოფილება გამოიწვია. „ვერსიამ“ ამ საქმის დეტალები რამდენიმე დღის წინ მოიპოვა. გამოძიებით დადგინდა, რომ 2007 წლის 7 დეკემბერს, შპს ,,სითი პარკსა“ და თბილისის მთავრობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება ,,პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარის გაცემის შესახებ“, რომლის თანახმად, თბილისში პარკირების მომსახურება ექსკლუზიურად ,,სითი პარკს“ დაევალა. საგამოძიებო სამსახურმა განგვიმარტა, რომ არასწორი პარკირებებით მიღებული საკმაოდ დიდი შემოსავლის ანუ ჯარიმების 60% თბილისის მთავრობას, 40% კი ,,სითი პარკს“ რჩებოდა. ,,სითი პარკსვე“ გადაეცა თბილისის ტერიტორიაზე ტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისათვის მძღოლების დაჯარიმების უფლებაც. უგულავამ „სითი პარკის“ სასარგებლოდ, 2009 წლის 11 თებერვალს გამოცემული ბრძანების დანართში, განზრახ მიუთითა არასწორი სახაზინო კოდი და ამგვარად, გადახდილი ჯარიმების თანხის 40% ქვეყნის ბიუჯეტის ნაცვლად, ,,სითი პარკის“ ანგარიშზე დაირიცხა. მისივე გადაწყვეტილებით, მერიასა და ,,სითი პარკს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, 2011 წლის 6 აპრილს შევიდა ცვლილება 3, რომლითაც ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების განაწილების წესი ამ კომპანიის სასარგებლოდ შეიცვალა. მოკლედ, მთელი რიგი შეღავათებითა და სპეცცვლილებებით, უგულავამ „სითი პარკს“, მთლიანობაში, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა, 1 086 718 ლარი „აჩუქა“. ამ საქმეზე გამოძიება სს სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის II და III ნაწილებით გრძელდება და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, იგი საკანში 7-დან 11 წლამდე ვადით აღმოჩნდება. ,,სითი პარკი“ უგულავასა და ზოგადად, ნაციონალების ჯიბეს რომ ასქელებდა, ამის შესახებ ერთი წლის წინაც ვწერდით, როცა საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა ექსკლუზიურად მოგვაწოდა საინტერესო დოკუმენტები. ამ საბუთებით პარტია „სითი პარკისთვის“ სასამართლოში ჩივილს გეგმავდა და ამტკიცებდა, რომ ეს კერძო კომპანია ანტიმონოპოლიურ კანონს სასტიკად არღვევდა. ამ დოკუმენტებით ისიც ირკვეოდა, რომ სულ რაღაც 200-ლარიანი საწესდებო კაპიტალით შექმნილ „სითი პარკს“, რომელიც „ნაციონალების კვების წყაროდ“ იქცა, წლიურად, სულ მცირე, 32 000 000-ლარიანი შემოსავალი ჰქონდა. საქმეები, რაზეც, დიდი აღბათობით, უგულავას ახლა თუ არა, მომავალში მაინც დაკითხავენ, თბილისის მერიის ქვესამსახურებს ეხება — ქალაქის დასუფთავებას, კეთილმოწყობას, უგულავას მიერ დაცვის სპეციალური სამსახურის შექმნას და ა.შ. მერყოფილის სახელსა და „საგმირო საქმეებს“ უკავშირდება ნახევარმილიონიანი საახალწლო ღონისძიებები, აშშ-ში, ლას ვეგასში „მივლინების“ ფარგლებში „გულაობაც“. ასევე, თბილისის სარეზერვო და განვითარების ფონდებიდან არამიზნობრივად გაღებული დიდძალი ხარჯი, რომელთა გადამოწმებას „ოცნების“ გუნდის დღევანდელი ლიდერი და საკრებულოს მაშინდელი დეპუტატი თინა ხიდაშელი ითხოვდა. დღეს ხიდაშელი პარლამენტშია, ეს დოკუმენტები მის მაგიდაზეა და უგულავასთვის ბრალის დამძიმებას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება. უგულავასთვის ბრალის დასამძიმებლად ასევე გამოდგება: 2010-2011 წლებში ჩატარებული ტენდერი საკონცერტო და ქალაქგაფორმებით ღონისძიებებზე, რაც 1 721 300 ლარი დაჯდა; ტენდერი ოფიციალური სტუმრების სასტუმროებით უზრუნველოფასა და რესტორნებით მომსახურებაზე, რაც ჯამში 450 000 ლარამდე დაჯდა; ასევე კონცერტების ჯეგირების გაწყობა-ალაგების ტენდერი, რაც ქალაქს 200 000 ლარი უჯდებოდა. მრავალწლიანი ტენდერი 2010-2011 წლებში, სხვადასხვა ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად, გახმოვანებისა და საკონცერტო აპარატურისთვის, რაც 365 000 ლარად შეფასდა. ტენდერი საკონცერტო განათების თაობაზე, რაც 182 860 ლარით განისაზღვრა. ასევე, 130 000 ლარად შეფასებული ბიოტუალეტების ტენდერი. მერიის კუთვნილი ავტომანქანების საექსპლუატაციო მომსახურება, რაც 460 000 ლარადაა შეფასებული. ასფალტზე სიჩქარის შემანელებელი ზოლების დახაზვა, რაც 241 500 ლარი დაგვიჯდა, ტენდერი შადრევნების მოვლა-პატრონობაზე კი — 600 000 ლარი. ამ ხუმრობა-ხუმრობაში, ჯამში, უხეშად რომ ვთქვათ, 2 628 000 ლარზე ავდივართ, რაც პატარა თანხა სულაც არ არის.

ვინ იქნება შემდეგი

იმ მასალებიდან და წინასწარი ინფორმაციებიდან გამომდინარე, რაც ჩვენთვის, ხან კულუარულად, ხანაც ოფიციალურად ხდება ცნობილი, შესაძლოა, უგულავას შემდეგ ბრალი ნაციონალების რამდენიმე მაღალჩინოსანს წარედგინოს, რამდენიმეს კი დაუმძიმდეს. სავარაუდოდ, რიგში არიან ექსმინისტრები — ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი, ასევე კობა სუბელიანი და მამუკა ახვლედიანი.

გაზეთ „ვერსიის“ ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაასრულა და სამართალდამცავ ორგანოებს გადასცა 23 სახელმწიფო უწყების მასალები. აქედან 14 მთავარ პროკურატურას, 9 კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას გადაუგზავნა. ეს მასალებია: 1. განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს 2012 წლის წლის ფინანსური აუდიტის შუალედური ანგარიში, რაც სამინისტროში დიმიტრი შაშკინის ყოფნის პერიოდს ეხება; 2. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისთვის სახსრების ხარჯვის მიზნობრიობისა და კანონიერების ანგარიში; 3. შს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2010-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის ანგარიში; 4. ჯანდაცვის სამინისტროს შიდსის სახელმწიფო პროგრამის 2008-2011 წლების ეფექტიანობის ანგარიში. ამ პერიოდში კი სამინისტროს ორი მინისტრი, კვიტაშვილი-ურუშაძე ჰყავდა; 5. დმანისის მუნიციპალიტეტის 2009-2012 წლების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესაბამისობის ანგარიში; 6. ქუთაისის მერიის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გაცემის კანონიერებისა და მართლზომიერების შესაბამისობის ანგარიში; 7. თბილისის მერიის გარეგანათების პროგრამის ფარგლებში 2006-2010 წლებში გამოყენებული სახსრების შესაბამისობის ანგარიში; 8. თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში ქალაქის გამწვანებისა ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის ანგარიში; 9. წყალტუბოს, სენაკის, კასპისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში განხორციელებული სხვადასხვა პროგრამების ხარჯების შესაბამისობის ანგარიში; 10. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის შემოწმების მასალები, კობა სუბელიანის ხელმძღვანელ პოსტზე ყოფნის პერიოდში და ა.შ.

ყოფილი მერის, გიგი უგულავას მოადგილის, მამუკა ახვლედიანის სახელი, ალბათ, უგულავასთან დაკავშირებულ ბევრ საქმეში ფიგურირებს. მათ შორისაა ბრალი „სითი პარკთან“ დაკავშირებითაც, რომელიც უგულავას უკვე ოფიციალურად აქვს წაყენებული. გარდა ამისა, პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, კობა სუბელიანის წინააღმდეგ პროკურატურაში საქმე უკვე გამზადებულია და იგი იმ პერიოდს მოიცავს, როცა დევნილების ექსმინისტრი მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი იყო. საქმე ეხება 2005-2006 წლებში ამ სამსახურის შემოწმების აქტს, რომელსაც ნაციონალების დროს გრიფი „საიდუმლო“ ედო. გამოძიება უგულავა-სუბელიანის თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისა და ბოროტად გამოყენების მიმართულებით მუშაობს ასე რომ, შესაძლოა, ბრალის წარდგენის შემთხვევაში, მერაბიშვილ-ახალაიასა და ალბათ, ახლა უკვე უგულავას გვერდით, კობა სუბელიანიც აღმოჩნდეს. ამ კონკრეტული აქტის შედეგად კი, ჯამში, მერიის ბიუჯეტიდან 139 მილიონი ლარის გაფლანგვაზეა საუბარი. გარდა ამისა, შესაძლოა, „გუდაური სქაი რესორტის“ მფლობელის, ბიზნესმენ გიორგი ტრაპაიძის „აღიარებით ჩვენებების“ საფუძველზე ბრალი დაუმძიმდეს ვანო მერაბიშვილსაც. ტრაპაიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ გუდაურში, მერაბიშვილის დავალებით, 2010 წელს აქტივები 10 მლნ ევროდ შეაძენინეს და 2011 წელს 1 დოლარად დააბრუნებინეს. სწორედ ტრაპაიძის „აღიარებით ჩვენებაში“ ფიგურირებდა გიორგი ღონიაშვილის გვარიც, რომელიც მას გიგი უგულავასთან შუამდგომლობდა. ასე რომ, თუ ტრაპაიძეს დავუჯერებთ, ვანო მერაბიშვილსაც არ ასცდება ბრალის დამძიმება.

მოკლედ, გიგი უგულავას შემდეგ, გაგანია წინასაარჩევნო პერიოდში დაჭერების სერიის გაგრძელება ნაკლებსავარაუდოა, თუმცა არაოფიციალური, ე.წ. მორატორიუმის დასრულების შემდეგ, უდავოდ, ზაფხულზე ცხელი შემოდგომა გველის!

პატრიარქი ხელისუფლებას, ბანკებს, ბიზნესმენებსა და მიწათმოქმედებს მიმართავს

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოს მიწის გასხვისების პროცესს კიდევ ერთხელ, ოფიციალური განცხადებით ეხმაურება: „როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უცხო, ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოში მიწის გასხვისების პროცესი კვლავ დაიწყო. დღეს, როცა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სიღატაკის ზღვარზეა და ბევრ შემთხვევაში იძულებულია, თავისი ქონება ძალზედ იაფად გაასხვისოს, ახალი რეალობა დიდი დარტყმის წინაშე დააყენებს სახელმწიფოს.

თავისთავად, უცხოური კაპიტალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლა-დამკვიდრება მისასალმებელია, რადგან შეუძლებელია ამის გარეშე ქვეყნის განვითარება, მაგრამ ეს პროცესი უმართავი არ უნდა გახდეს, მან არ უნდა განაპირობოს ყველაზე დიდი მატერიალური სიმდიდრის — ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მომსახურე პერსონალად გადაქცევა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც პირველ რიგში ეკუთვნით აქაური სიკეთე და დოვლათი, აღარ ჰქონდეთ შიდასამეწარმეო რესურსის გამოყენების საშუალება.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფომ ერთი წელია სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობაში არსებული ვითარების გამოსწორებისთვის, მაგრამ ამჟამად შექმნილი ვითარება სხვა ქმედებების განხორციელებასაც საჭიროებს; მათ შორის შეღავათიანი და გძელვადიანი სესხების გაცემას.

ამასთან, ვთხოვთ ხელისუფალთ — სასწრაფოდ მიიღონ ზომები და ევროპის რიგი ქვეყნების მსგავსად, შეიმუშაონ სათანადო რეგულაციები, რათა განეიტრალდეს ფრიად ნეგატიური მოსალოდნელი შედეგები, მით უმეტეს, კონსტიტუციის 21-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლევა.

თხოვნით მივმართავთ ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებს — მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. გარკვეული რეგულაციების დადგენამდე, შეაჩერონ სესხის დაფარვის მიზნით მიწების გასხვისების პროცესი ან შეღავათიანი გადახდის პირობები დააწესონ.

მივმართავთ ჩვენს ბიზნესმენებს — გააააქტიურონ საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში და დააბანდონ თავიანთი კაპიტალი ახალ ტექნოლოგიებსა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. ხელი შეუწყონ ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რათა მათი ექსპორტი მოხდეს საზღვარგარეთ.

მივმართავთ მიწათმოქმედთ — მეტი სიყვარული გამოიჩინონ შრომისადმი, დაამუშაონ ნაკვეთები, მოუარონ მას და შვილებს შეუნახონ ეს ქონება.

მიწაზე მომუშავე ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მის საქმიანობას დალოცვა სჭირდება.

სოფლად მოღვაწე სასულიერო პირებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა, უფასოდ ყოველწლიურად უკურთხონ ხალხს ნაკვეთები, თესლი და მოსავალი, ასევე სახლკარი, საქონელი და პირუტყვი, რომ ხალხის შრომამ ნაყოფი გამოიღოს და დაცული იყოს სხვადასხვა საშიშროებისგან. ეს უძველესი ტრადიცია უნდა აღდგეს და მოსახლეობამ გაითავისოს.

საერთოდაც, ყველანი უნდა გავერთიანდეთ და სამშობლოს შევეხიდოთ. განსაკუთრებით ვთხოვ ამას ჩვენს ახალგაზრდებს.

მსგავსი პრობლემების წინაშე ჩვენი ქვეყანა XIX საუკუნის დასასრულსაც იდგა, სწორედ ამიტომ დააარსა მაშინ წმინდა ილია მართალმა საადგილმამულო ბანკი. დღეს დიდი ილიას ჭაპანი თითოეულმა ჩვენგანმა ძალისამებრ ჩვენისა უნდა გავწიოთ“.

„პირველი“

„გიგი უგულავა მეორე ტურს მსხვერპლად შეეწირა ან შეწირეს“

რუსუდან შელია
557-100-768



თბილისის ყოფილი მერი, რომელიც გიგა ბოკერიასთან ერთად კიევში მიფრინავდა, 3 ივლისს, დაახლოებით 06:00 საათზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. ამჟამად, იგი სასამართლო პროცესის მოლოდინშია. რამდენიმე დღის წინ ბრალი დაუმძიმდა უკვე პატიმრობაში მყოფ თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიასაც. შედის თუ არა პრემიერის მიერ დაანონსებული პოლიტიკურად ცხელი ზაფხული აქტიურ ფაზაში და რამდენად გასდევს პროკურატურის ქმედებებს პოლიტიკური ინტერესები ლაიტმოტივად? „ვერსიას“ ყოფილი პროკურორი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი ესაუბრება.

როგორ აფასებს პროკურატურის მუშაობასა და ნაციონალების დაკითხვა-დაპატიმრებებს ყოფილი პროკურორი გიგლა აგულაშვილი

— გიგი უგულავა დაკავებულია და ნაციონალური მოძრაობა ისევ პოლიტიკურ დევნაზე აპელირებს. იმ ფონზე, როცა სასამართლომ წინა დღის რეჟიმში მისთვის გირაოს შეფარდებასა და პირადობის ჩამორთმევაზე უარი განაცხადა, ყოფილი მერის დაკავება სამართლებრივად დასაბუთებულია?

— არ ვიცი, რა საფუძველი ჰქონდა საგამოძიებო ორგანოს გიგი უგულავას დასაკავებლად. პირველადი დოკუმენტები არ მინახავს, მაგრამ მსგავსი ღონისძიების განხორციელებისთვის შესაბამისი მიზეზები უნდა არსებობდეს. დიახ, პროკურატურის შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, თუმცა პროკურატურას სასამართლოსთვის გიგი უგულავას დაკავების შუამდგომლობით არ მიუმართავს. ეს ნიშნავს, რომ ყოფილი მერის დაკავების საფუძველი არ არსებობდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღება ერთ მნიშვნელოვან დეტალს უნდა მივაქციოთ: გიგი უგულავა საგამოძიებო ორგანოში დაკითხვაზე კიდევ ერთხელ დაიბარეს, მან კი გადაწყვიტა, ქვეყანა დემონსტრაციულად დაეტოვებინა. ამის მტკიცებულებები არსებობს — იგი აეროპორტში დააკავეს, ბილეთი ნაყიდი ჰქონდა და საზღვარგარეთ გაფრენას აპირებდა. უნდა ჩავთვალოთ, რომ გიგი უგულავამ კანონი სწორედ ამ ფორმატში დაარღვია. საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა.

— გიგი უგულავამ გამგზავრებამდე დააანონსა, რომ პროკურატურასთან ითანამშრომლებდა და კიევიდან საღამოსვე დაბრუნდებოდა.

— ფაქტია, უგულავა ქვეყნის დატოვებამდე საკმაოდ გამომწვევად იქცეოდა, ერთგვარი დემარში მოაწყო. არ დაგვავიწყდეს მისი ადრინდელი განცხადებებიც. თავდაპირველად, განაცხადა, პროკურატურასთან არ ვითანამშრომლებ, პრესკონფერენციაზე სიტყვით უნდა გამოვიდეო, შემდეგ გადაიფიქრა — დაკითხვაზე მივალო. გიგი უგულავას კვირაში რამდენი პარასკევი აქვს, ამის მიხედვით სასამართლო თუ პროკურატურა ვერ იმოქმედებს. თანაც ეს ის ადამიანია, რომელმაც თანაგუნდელებთან ერთად, ცხრა წლის განმავლობაში ყურები გამოგვიჭედა — სახელმწიფო ინსტიტუტებსა და კანონს პატივი ყველამ უნდა ვცეთო. მისი ბოლოდროინდელი ქმედებები კი, შინაარსით, ანტისახელმწიფოებრივია. რატომ ან რა პოლიტიკური მიზნებისთვის გააკეთა ეს, არ ვიცი, მაგრამ დიდი ალბათობით, გარკვეული პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად დასჭირდა.

— და გიგი უგულავამ პოლიტიკური მსხვერპლის სტატუსი მიიღო, პროკურატურა კი, მეორე ტურის წინ, ყოფილი მერის დაკავებით ავანტიურაზე წამოეგო?

— შესაძლოა გიგი უგულავა მეორე ტურს მსხვერპლად შეეწირა ან შეწირეს. იმასაც არ გამოვრიცხავ, სასამართლოდან გათავისუფლების იმედი აქვს. რაც შეეხება პროკურატურას, ეს უწყება პოლიტიკურ დაპირისპირებაში არ ერევა და მხოლოდ კანონის შესაბამისად მოქმედებს. არ ვიცი, ვინ რას მიიღებს, მაგრამ ამ ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ, სამართალი პოლიტიკისაგან უნდა გავმიჯნოთ. სახელმწიფოს მშენებლობისთვის ეს გრძელვადიან პერსპექტივაში გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე მეორე ტურის წინ გიგი უგულავას დაკავებაზე საუბარი. ნაციონალურ მოძრაობას ტრიბუნა ისედაც არ აკლია. მედიაშიც ხშირად ჩნდებიან, ამიტომ არა მგონია, გიგი უგულავას დაკავების ფაქტმა მათ რამე შემატოს. ნებისმიერ შემთხვევაში, სამართალდამცავს ორგანოებს მკაცრი ჩარჩო აქვთ — კონსტიტუცია და საქართველოს კანონმდებლობა.

— რამდენად მყარი არგუმენტები აქვს ამჯერად პროკურატურას იმისთვის, რომ გიგი უგულავა სასამართლო დარბაზიდანვე არ გაათავისუფლონ?

— სასამართლო პროცესს დაველოდოთ. მოსამართლე, პროკურორი თუ გამომძიებელი გადაწყვეტილებებში უამრავ დეტალს ითვალისწინებენ. საქმის მასალებს არ ვიცნობ, ამიტომ ანალიზიც მიჭირს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო.

— ბრალი კიდევ ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს, ბაჩო ახალაიას დაუმძიმდა. ეს პროცესი პრემიერის მიერ დაანონსებული ცხელი პოლიტიკური ზაფხულის დასაწყისია?

— ბაჩო ახალაიას შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. სერგო თეთრაძის საქმეში ძალადობისა და წამების მუხლი სხვა პირებსაც წარედგინათ, მათ შორის, მეგის ქარდავას, ჭაკუას... ამიტომ თავდაცვის ყოფილი მინისტრისთვის ბრალის წაყენება ლოგიკურია — არ შეიძლება, ბრალი მხოლოდ შემსრულებლების დანაშაულზე ვისაუბროთ, ორგანიზატორი კი პასუხისმგებლობის გარეშე დარჩეს.

— საქმეში მთავარ მოწმედ ლადო ბედუკაძის დასახელება გამართლებულად მიგაჩნიათ? თუ სერგო თეთრაძის საქმეში თავდაცვის ყოფილი მინისტრიც მონაწილეობდა, რატომ არ გახდა ამის შესახებ ცნობილი მაშინ, როცა იმავე საქმეში ბრალი მეგის ქარდავასა და დათო ჭაკუას წაუყენეს?

— დაახლოებით იგივე განწყობა იყო საზოგადოების ნაწილში, როცა გიგი უგულავას საქმეში მოწმედ ბექაური გამოჩნდა. მტკიცებულებების ღირებულება თუ მოწმის ჩვენება პიროვნულად არ განისაზღვრება. თუ ბედუკაძის ჩვენება სხვა მოწმეებთან ჰარმონიაშია, ის ღირებულად მიიჩნევა. რაც შეეხება პერიოდს, მტკიცებულებების შეგროვება პროცესია, ამიტომ ამ შემთხვევაში პოლიტიკურ სარჩულზე საუბარი აბსურდია.

— ისიც ფაქტია, რომ სასამართლოზე პროკურატურის მიერ წარდგენილი მოწმეები ჩვენებებს ხშირად ცვლიან და პროკურატურას ზეწოლაში ადანაშაულებენ. თანაც თითქმის ორი წელია უწყება გახმაურებული საქმეების გახსნას ვერ ახერხებს. ვინ აგებს პასუხს ამაზე?

— პროფესიონალიზმის მტერია ის, რომ პროფესიონალს სტანდარტებს არ სთხოვ. პროკურატურაში 2003 წლიდან 2012 წლამდე პროფესიონალიზმის წყვეტა იყო. ამ პერიოდში საბრალდებო დასკვნები თუ დოკუმენტები გამარტივებული ფორმებით იქმნებოდა, რადგან არ არსებობდა მოსამართლე, რომელიც პროკურორის ნებას წინ აღუდგებოდა. ადამიანებს სამსახურის დაკარგვით და გარკვეულ შემთხვევებში სისხლის სამართლის დევნით ემუქრებოდნენ. ვითარება შეიცვალა, რაც პროკურატურას გარკვეულ ჩრდილს აყენებს, თუმცა მთავარი თამასა სასამართლო და მისი დამოუკიდებლობაა. თუ სასამართლო კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქმედებს და პოლიტიკური ვნებებისგან თავისუფალია, ნორმალური სახელმწიფოს მშენებლობა გარანტირებული გვაქვს. ეს საგამოძიებო ორგანოებს პროფესიონალიზმზე აქცენტს აიძულებს. რა თქმა უნდა, პროკურატურა მხოლოდ მონმეებზე დამოკიდებული არ უნდა იყოს, ასეთი საქმე ყოველთვის სუსტია. პროკურატურაში საკმაოდ დიდხანს, 11 წლის განმავლობაში ვიმუშავე და მუდმივად ვცდილობდი, უწყებაში რეფორმები გამეტარებინა. ხარვეზები ყოველთვის არსებობდა, მაგრამ, რაც უნდა წარმოუდგენელი იყოს, 2003 წლამდე პროკურატურაში უფრო მაღალი დონე იყო. ნაციონალური მოძრაობის პირობებში უწყება გაირყვნა და პროფესიონალებისგან დაიცალა. ამას ღილაკზე ერთი თითის დაჭერით ვერ გამოვასწორებთ.

— გასაგებია, რომ, როგორც ყოფილი პროკურორი პროკურატურის პოზიციის დაცვას ცდილობთ, მაგრამ აღნიშნული უწყების მიმართ კითხვები კოალიციაში დიდი ხანია აქტუალურია. არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების ამ სუსტმა რგოლმა არჩევნების შედეგებზეც იქონია გავლენა?

— არჩევნების შედეგებზე ფაქტორების ერთობლიობამ იმოქმედა და პროკურატურას ამაში თავისი წვლილი მიუძღვის. შეკითხვები მეც მაქვს და ვფიქრობ, საზოგადოების ინტერესიც ლეგიტიმურია. თუმცა ისიც ვიცი, რომ პროკურატურაში მუშაობა უმადური შრომაა. რთულია, ნაჯიჯგნი საქმეებისა და ფალსიფიცირებული მტკიცებულებების იმ დონემდე მიყვანა, რომ დამოუკიდებელი სასამართლო შენ პოზიციაში დაარწმუნო. მხოლოდ შინაგანი რწმენით დამოუკიდებელი სასამართლო ვერ იმოქმედებს. ამ ეტაპზე კადრების პრობლემა გვაქვს. ადამიანები ცხოველებს არ ჰგვანან. პროფესიონალის ჩამოსაყალიბებლად გარკვეული პერიოდი და განათლებაა საჭირო.

„მასტერას“ მასტერკლასი

გიორგი იაშვილი

დათა ახალაიას „მარჯვენა ხელის“, გიორგი დგებუაძის გაუხმაურებელი ბინძური საქმეები

ქართული მხარის მოთხოვნით, რამდენიმე დღის წინ, ჰოლანდიაში გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“ დააკავეს. „ვერსია“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წერდა, რომ ქართულმა მხარემ ყველა გაქცეული მაღალჩინოსნის ადგილსამყოფელი იცის, მაგრამ დაკავებას ვერ „ბედავს“, რადგან არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ აქაური სამართალდამცავები იმ დოკუმენტებს ვერ გადაგზავნიან, რომელიც კანონისმოყვარულ ევროპელებს დაკავებულის ექსტრადიციაში დაარწმუნებს. ეს კი ნიშნავს, რომ ძებნილი მაღალჩინოსნები სუფთად მუშაობდნენ და ისეთ კვალს არ ტოვებდნენ, შემდეგ მათზე ხელჩასაჭიდი ჰქონოდათ რამე. მხოლოდ ხალხის განწყობა და საყოველთაო მოსაზრება, რომ კონკრეტული პირი დამნაშავეა, აშკარად არ კმარა. ესაა მიზეზი, რომ ვერ მოხერხდა დავით კეზერაშვილისა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში პროკურატურის უნიათობაც უნდა ვახსენოთ) თუ დათა ახალაიას ექსტრადიცია. სწორედ ამიტომ ვერ ითხოვს ქართული მხარე ზურაბ ადეიშვილის დაკავებას, თორემ ლამის მთელმა საქართველომ იცოდა, რომ იუსტიციის ყოფილი მინისტრი ერთი პერიოდი უნგრეთს აფარებდა თავს.

მთავარი პროკურატურა კი „მასტერას“ შემთხვევაში დიდ გულზეა და იმედი აქვს, რომ მის ექსტრადიციას მოახერხებს. თუ ასე მოხდება, შემდეგ უკვე ძნელი არ იქნება დათა ახალაიას ექსტრადაციის საკითხის მოგვარებაც — სწორედ უფროსი ახალაიას მარჯვენა ხელი იყო დგებუაძე და, თუ მან გუდას პირი მოხსნა, ძალიან ბევრ რამეს მოეფინება ნათელი.

რაც შეეხება ოფიციალურ ბრალდებას — მთავარმა პროკურატურამ მასზე ძებნა სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით (წამება) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის გამოაცხადა. ეს მცირე ნაწილია იმ ბრალდებებისა, რომელიც დგებუაძის მისამართით გაჟღერდა, რეალურად კი, პროკურატურაში არაერთი საჩივარი დევს და გახმაურებული საქმეების გარდა, მას სხვა, ნაკლებად ცნობილ საქმეებსაც ედავებიან. ჩვენს მიერ ექსკლუზიურად მოპოვებულ რამდენიმე საქმეს აქვე გაგაცნობთ.

2007 წელს დათა ახალაიას თვალში „პორშეს“ ჯიპი მოუვიდა. ჯიპი ვინმე ლევან ე-ს ეკუთვნოდა. ახალაიამ პირადად დაიბარა მანქანის მეპატრონე და ავტომობილის გადაფორმება მოსთხოვა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ამის შემდეგ საქმეში „მასტერა“ ჩაერთო. ლევანი საკუთარ სახლში წამლის მოხმარების ბრალდებით დააკავეს, თუმცა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ მისი ორგანიზმი სუფთა იყო. დაკავებული მანქანის ჩუქებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა და მზად იყო, ციხეშიც კი წასულიყო, თუმცა დგებუაძემ მეორე დღეს უკვე ლევანის მამა დააკავა და განაცხადა, რომ ფინანსური დანაშაულის ბრალდებით ციხეში გაისტუმრებდა.

მამის დაპატიმრებამ ლევანი გატეხა და „პორშე“ დათმო. დგებუაძემ და ახალაიამ მამა გაუშვეს, შვილს კი აბსურდული ბრალდებით, სამი წელი მიუსაჯეს და ციხეში გაისტუმრეს. „პორშეს“ ჯიპი დგებუაძემ პირადად ჩაუყვანა დათა ახალაიას ბათუმში, რომელიც იმ დროს დასასვენებლად იყო. თუ ამას თავად ან მისი ოჯახის წევრები უარყოფენ, იმასაც დავწერთ, ვისთან ერთად ნებივრობდა ბატონი დათა. სხვათა შორის, ლევანმა აღნიშნული მანქანა შარშან მოძებნა, მაგრამ სამართალდამცავებმა მხრები აიჩეჩეს, ჩვენ ვერაფერს შევცვლით, ახლა ის კეთილსინდისიერ მყიდველს ჰყავსო. ეს იმის მიუხედავად, რომ დაზარალებულმა პროკურატურაში წარადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვით, ავტომობილი „მასტერას“ ღამის სამ საათზე საბურთალოს ნოტარიუსში გადაუფორმა, თანაც მაშინ, როცა გლდანის ციხეში იჯდა.

დგებუაძის სახელს უკავშირდება ცნობილი ბიზნესმენისთვის არამარტო ბიზნესის წართმევა, არამედ თბილისში დათა ახალაიას მძღოლის სახელზე სამოთახიანი ბინის გადაფორმებაც. „მასტერამ“ ბიზნესმენს წილები რომ დაათმობინა, გლდანიდან არ გამოუშვა და ბინის ყიდვა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ დგებუაძემ ბიზნესმენის ცოლი გაიტაცა და ქალს ტყიდან დაარეკინა. ქალმა აუხსნა, რომ ტყეში რამდენიმე კაცთან ერთად მარტო იყო და ქმარმაც შავი დღისთვის გადადებული ბოლო თანხა გამოაჩინა. ბინა ორ დღეში იყიდეს და გადააფორმეს, ამ ხნის განმავლობაში დგებუაძე ტყეში ქალთან ერთად იყო და როცა ყველაფერი დასრულდა... მაინც გააუპატიურა. ბიზნესმენი დღესაც ამბობს, რომ მზადაა, ანონიმურობის სრული გარანტიის შემთხვევაში, ამ თემაზე მანაც და მისმა მეუღლემაც ისაუბროს.

იგივე „მასტერამ“, დათა ახალაიას დავალებით, დააკავა ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონე, რომელსაც შინ ანტიკვარული იარაღი ჰქონდა. თემურ კ-ს იარაღი ჩამოართვეს, წაართვეს რესტორნის წილი და ახალი ავტომობილი, რომლითაც ჯერ თავად დათა დადიოდა, შემდეგ კი „მასტერა“. სწორედ დგებუაძემ გაყიდა აღნიშნული ავტომობილი და დაინტერესების შემთხვევაში, მის კვალზე გასვლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

ეს იმ საქმეების არასრული ჩამონათვალია, რომელიც არ გახმაურებულა, მაგრამ „მასტერას“ სახელს უკავშირდება. რაც შეეხება დანარჩენ საქმეებს, როინ შავაძის მკვლელობა, დავით ცინდელიანის გაუჩინარება და კიდევ არაერთი მკვლელობისა თუ წამების ფაქტიც უშუალოდ „მასტერას“ უკავშირდება. დგებუაძე საქართველოდან დათა ახალაიასთან ერთად გაიქცა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ბოლოს ურთიერთობა ფულის გამო დაეძაბათ და დგებუაძემ ჰოლანდიას მიაშურა. თუ ქართველი სამართალდამცავები მისი ექსტრადირებისთვის საჭირო დოკუმენტების გაგზავნას ვერ მოახერხებენ, ეს ქართული პროკურატურის მარცხი კი არა, კრახი იქნება.

„ფიროსმანის საფლავს“ პატრონი გამოუჩნდა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ქართულ მედიაში სასიხარულო ცნობა გავრცელდა დიდი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის საფლავის სავარაუდო აღმოჩენის შესახებ. წინა ცნობებისა არ იყოს, ესეც ცრუ ინფორმაცია აღმოჩნდა. მანამდე კი, „ოცნების“ მთავრობის კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, განცხადების გავრცელებისთანავე კუკიის სასაფლაოზე გაჩნდა და მკვლევარებსა და მეცნიერებს თანადგომას დაპირდა. „ვერსიას“ საფლავის პატრონი, გიული გრძელიძე დაუკავშირდა, საფლავისა და ქვის ისტორია დეტალურად გბიამბო და გაგვიმხილა, რომ საფლავი არც ორსაუკუნოვანია და არც ფიროსმანს ეკუთვნის. ინტერვიუს დაბეჭდვამდე, მეცნიერებმა და ისტორიკოსებმა ქვის მეორე მხარეს საეჭვო წარწერა აღმოაჩინეს — „დაბადებიდან 3 წლის“ და მათ მყარ არგუმენტებს წყალი შეუდგა.

„ეს საფლავი გარდაცვლილ ბავშვს, ნიკალა ფოჩხიძეს ეკუთვნის“

გავრცელებული ინფორმაციით, კუკიის სასაფლაოზე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია საფლავის ქვა, წარწერით — „შეინწყალე, უფალო, ნიკალა!“. ეს განცხადება თავად კულტურის სამინისტრომ ჟურნალისტ მაია რამიშვილის მონაყოლზე დაყრდნობით გააკეთა. ჟურნალისტმა რამდენიმე მეგობარი, მათ შორის კულტურის მინისტრი, ასევე ფოლკლორისტები — ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული, ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე, მწერალი კოტე ჯანდიერი და ხელოვნებათმცოდნე ეკა კიკნაძე ორიოდ დღის წინ სწორედ ამ ქვასთან მიიწვია და წარწერა საზეიმოდ აჩვენა. როგორც სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, **„მაია რამიშვილის მოსაზრება გარკვეულ არგუმენტებს ეფუძნება. ჟურნალისტის მონათხრობით, იგი ამ საფლავს დაახლოებით ერთი თვის წინ წააწყდა კუკიის სასაფლაოზე, მშობლების საფლავების შორიახლოს. მისი ვარაუდი რამდენიმე ძალიან თვალშისაცემ ფაქტს ეყრდნობა“.** ეს თვალშისაცემი ფაქტები კი წარწერა და ქვის სიძველე აღმოჩნდა. მინისტრმა განაცხადა, ეს ამბავი სასწრაფოდ გამოსაკვლევია, თუმცა სათანადო ნებართვის გარეშე, ქვისა და საფლავის შესწავლას ვერავინ დაიწყებსო. ამ აჟიოტაჟს წინ 2013 წლის ბოლოს გაკეთებული აღმოჩენა უძღვოდა, როცა ერთ-ერთი ტელეარხის ინფორმაციით, ფიროსმანის საფლავი პეტრე-პავლეს სახელობის რუსული ეკლესიის ეზოში, სხვა საფლავებს შორის იპოვეს. ამ დასკვნამდე ფიროსმანის მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოება მას შემდეგ მივიდა, რაც ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სასაფლაოს მახლობლად კვლევა ჩაატარა. ეს თემა დღემდე შესასწავლია, რადგან დღეს კონკრეტულად იმ ადგილას, სადაც მეცნიერები ფიროსმანის ნეშტის პოვნას ვარაუდობენ, სამანქანე გზა გადის. ახალი „აღმოჩენის“ შემდეგ, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები მაინც აცხადებენ, საფლავის ქვა შესწავლის ობიექტი მაინც იქნება და სავარაუდოა, საფლავი ფიროსმანს ეკუთვნის. ქალბატონი, რომელიც „ვერსიას“ დაუკავშირდა, ყველა ეჭვს ფანტავს და აცხადებს, რომ საფლავის პატრონი სწორედ ისაა. პროფესიით პედაგოგი, **გიული გრძელიძე** საფლავის ისტორიას გვიამბობს და გაზეთის საშუალებით, კულტურის მინისტრს საჯაროდ მიმართავს.

— შემთხვევით, ტელევიზიით ვნახე, ფიროსმანის საფლავი აღმოაჩინესო. საფლავის ქვა მაშინვე ვიცანი, რადგან ჩვენ ამ სასაფლაოს მეპატრონეები ვართ. ავღელდი, არ მინდა, საზოგადოებას ცრუ ინფორმაცია მიაწოდონ და შეცდომაში შეიყვანონ. ან, რატომ უნდა იწვალონ მეცნიერებმა ტყუილად და სახელმწიფომ ფული დახარჯოს. მაშინვე ვცადე კულტურის სამინისტროსთან დაკავშირება, მაგრამ ვერ მოვახერხე. ცხელი ხაზით საჭირო ინფორმაცია ვერ მივიღე. ახლა, თქვენი საშუალებით, კულტურის მინისტრს მინდა მივაწვდინო ხმა და ვუთხრა, რომ ეს საფლავი ჩვენ გვეკუთვნის.

— **ამ საფლავში ვინ არის დაკრძალული?**

— თოიძის ქუჩაზე, №22-ში, ძველ სახლში ვცხოვრობ, ფოჩხიძის ბინაში. ფოჩხიძე ბაბუაჩემის სიძე იყო — დისქმარი. ახალგაზრდობაში ბაბუაჩემი თავისი ოჯახით, ამ სახლში ცხოვრობდა და მერე რაჭაში გადავიდნენ საცხოვრებლად. „მენშევიკებისა“ და ნოე ჟორდანიას პერიოდზე გესაუბრებით. რაჭველებს, სიძე-ცოლისძმას სამინიკიტნო ჰქონდათ. ფულიანი ხალხი იყო და ეს სახლიც, მათ ეკუთვნოდა. ბაბუაჩემის დის პირველი ვაჟი, ძალიან პატარა, 3 წლამდე გარდაიცვალა. როგორც წესი, ბავშვებს ისე კრძალავდნენ, ქვაზე არც სახელს აწერდნენ და არც დაბადება-გარდაცვალების თარიღებს. არც სურათებსა თუ ბიუსტებს აკეთებდნენ. ისე, ჩემი წინაპრების ბევრი სურათი მაქვს შემონახული. ამ დაღუპულ ბავშვს ნიკალა ერქვა, გვარად ფოჩხიძე იყო. სახელი „ნიკალა“ რაჭაში ძალიან გავრცელებულია. ჩემს ერთ-ერთ ბიძასაც ნიკალა ერქვა. ამის მერე ბაბუაჩემის დას და მის ქმარს მეორე ბიჭი, გრიგოლი შეეძინათ, რომელიც ინჟინერი გახლდათ და კანდიდ ჩარკვიანთან მეგობრობდა. ქალაქკომშიც ერთად მუშაობდნენ. არ ვიცი, იცის თუ არა ეს ამბავი გელა ჩარკვიანმა, მაგრამ მათი ერთობლივი სურათებიც მაქვს შემონახული. სამწუხაროდ, ეს ბიჭიც 35 წლის ასაკში ისე გარდაიცვალა, შვილი არ დარჩენია. ასე დაეღუპა ბაბუაჩემის დას ორივე ვაჟი. მეორე შვილის გარდაცვალებამდე, მისი მეუღლეც დაიღუპა. ეს კაცი „მენშევიკი“, პატრიოტი ყარაჩოღელი იყო და ვერ გადაიტანა თბილისში წითელი არმიის შემოსვლა — გული გაუსკდა. დარჩა მხოლოდ ეს ქალი, ჩემი ბაბუდა და ისიც სასაფლაოზე ათენ-აღამებდა. ამ სასაფლაოზე აკლდამა გააკეთა, მინებიც კი ჩასვა, ლამის ოთახად გადააქცია და ღამეც იქ რჩებოდა ხოლმე. როცა პატარა ვიყავი, ბაბუაჩემის დას სასაფლაოზე ხშირად დავყავდი. ვიდრე ის თავის ნაცნობ ჭირისუფლებს ესაუბრებოდა, რომლებიც ახლობლის საფლავებზე ჩვენსავით ხშირად დადიოდნენ, მე ვთამაშობდი. ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ ყველაფერი კარგად მახსოვს.

— **ანუ ამ საფლავის უშუალო მეპატრონეებიდან დღეს ცოცხალი არავინაა და ყველაზე ახლო ნათესავი თქვენ ხართ?**

— დიახ, უშუალო პატრონი მე ვარ, რადგან ბაბუაჩემის დას სხვა არავინ ჰყავდა. დედ-მამა უკვე დამეღუპა, ჩემი ძმა ასე კარგად არაა ჩახედული ამ საკითხებში. შესაბამისად, ყველაზე ახლო ნათესავიცა და ამ საფლავის მომვლელი თუ პატრონიც მე გახლავართ.

— **მენშევიკური მოძრაობა 20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო, მეცნიერები კი ფიქრობენ, რომ აღმოჩენილი ქვა, სიძველის მიხედვით, 2 საუკუნისაა.**

— არავითარი 2 საუკუნე. გამორიცხულია. ჩემი ბაბუდა საკმაოდ მდიდარი ქალი იყო და ეს საფლავიც კარგად გააკეთა. გარშემო უზარმაზარი ტერიტორია მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. ეს ისტორია დედაჩემმაც იცოდა. დედაჩემიც იქაა დაკრძალული. მოკლედ, ეს ჩვენი საგვარეულო საძვალეა. დროთა განმავლობაში, მარმარილოს ფილები დატყდა და ცემენტი დავასხით. მთელი ეს ტერიტორია ბაბუაჩემის დას ეკუთვნოდა, მაგრამ ეს სასაფლაოები მიისაკუთრეს და დაიკარგა. ჩემი დედ-მამა ამბობდა, მიწის გამო ადამიანებს როგორ ვეჩხუბოთ, ჩვენც მიწაში წავალთ, ადრე თუ გვიანო, ამიტომ ჩვენი კუთვნილი მიწების მიტაცების გამო აჟიოტაჟი არ აგვიტეხავს. ფაქტობრივად, ის ადგილები წაგვართვეს.

— **და რა არის თქვენი მთავარი მოთხოვნა თუ სათქმელი კულტურის სამინისტროს მიმართ?**

— მე რეალური ისტორიის ცოცხალი მოწმე ვარ და არ მინდა, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ. დღემდე, როცა საფლავებზე ავდივარ, სანთელს პირველად პატარა ნიკალასთან ვანთებ. სამწუხაროდ, არ ვიცი, ეს ბავშვი რატომ გარდაიცვალა. დედაჩემს არ მოუყოლია ჩემთვის ეს ამბავი, თუმცა მისი მშობლების სურათებიც მაქვს. იმავე სასაფლაოზე მისი მშობლებიც არიან დაკრძალულნი. სახელმწიფო ტყუილად დაიხარჯება, თუნდაც მხოლოდ ქვა რომ გამოიკვლიოს, რაც ძალიან არ მინდა. არანაირი პოლიტიკური ინტერესი არ მაქვს. უბრალოდ, რეალობა ასეთია. მივესალმები ფიროსმანის საფლავის პოვნას, მიყვარს მისი ნახატები, ნეტავ მისი საფლავი მართლა იპოვონ.

2013 წელს ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 70, 2014 წლის 6 თვეში კი 25 პირი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ნაციონალური მოძრაობის წევრების ბრალდებებს ოფიციალური განცხადებით პასუხობს: „ბოლო პერიოდში პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის მორიგი სიცრუე და მსგავსი განცხადებების გაკეთება ემსახურება სამინისტროს დისკრედიტაციასა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. შინაგან საქმეთა სამინისტრო ე.წ. ქურდულ სამყაროსთან აქტიურ ბრძოლას აგრძელებს და ამის დასტურია მონაცემები და ის ღონისძიებები, რომელიც სამინისტრომ ამ მიმართულებით განახორციელა.

ახალი ხელისუფლების პირობებში, 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში შსს-მ 2 ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავა, 2013 წელს 1 „კანონიერი ქურდი“. მათ საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ „ქურდულ სამყაროში“ და ჰქონდათ კავშირები საზღვარგარეთ მყოფ სხვა „კანონიერ ქურდებთან“. ასევე, ძებნაა გამოცხადებული 1 „კანონიერ ქურდზე“.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით 2013 წელს 70 პირი დააკავა, 2014 წლის 6 თვეში კი — 25 პირი. შედარებისთვის, წინა ხელისუფლების დროს, 2011 წელს, დაკავეს ქურდული სამყაროს მხოლოდ 10 წევრი და არც ერთი „კანონიერი ქურდი“.

„ვერსიანიუსი“

შსს-ს მაშველებმა ფეხმოტეხილი ტურისტი ხეობიდან ამოიყვანეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა, ლენტეხის რაიონში ჩატარებული სამაშველო ღონისძიების შედეგად, ლატფარის უღელტეხილთან, ხეობიდან ფეხმოტეხილი ტურისტი ამოიყვანეს.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში შევიდა შეტყობინება, რომ ლენტეხის რაიონში, სოფელ ტვიდთან კანადელ ტურისტს – 1984 წელს დაბადებულ ბერგ მათიუ ვეინს ჩანჩქერთან, კლდის ქიმზე ფეხი დაუცურდა და ხევში ჩავარდა. ფეხმოტეხილ ტურისტს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა დახმარება.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფი შეტყობინების მიღებისთანავე ვერტმფრენით შემთხვევის ადგილზე ჩავიდა. სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა პირველადი სამედიცინო დახმარება დაშავებულს ადგილზევე აღმოუჩინეს. მაშველებმა ბერგ მათიუ ვეინი ხევიდან საკაცით ამოიყვანეს და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით ლენტეხში ჩაიყვანეს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ იგი რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა. დაშავებული ტურისტის მდგომარეობა სტაბილურია.

„ვერსიანიუსი“

როგორ „მოინათლა“ შეყვარებულის გამაუპატიურებლის მკვლელი ტატო ტარასად

„აბრეზით“ ჯიპში ჩაცხრილული პოლიციელი, მოსყიდული დაზარალებულის შეცვლილი ჩვენება და „მალალეტკისთვის“ უპრეცედენტო 15-წლიანი სასჯელი

პატიმარი №0578

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ე.წ. დაუმორჩილებელ კასტად არასრულწლოვანი პატიმრები ითვლებიან. არასრულწლოვანთა ზონაზე დღე არ გავა, რომელიმე უცხოელი დამკვირვებელი თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი არ გამოჩნდეს, ამიტომ „მალალეტკების“ ცემას ადმინისტრაცია რეჟიმის დროსაც კი ერიდებოდა და იშვიათი გამონაკლისის გარდა, მათ არავინ ეხებოდა...

ტატოს და მარის ერთმანეთი ბავშვობიდან უყვარდათ. ტატო „იმუქრებოდა“, სკოლას რომ დავამთავრებ, მაშინვე ცოლად მოგიყვანო და მისი თანაკლასელი მარიც ამას სიცილით ხვდებოდა. ერთ დღეს მარიმ შეყვარებულს უთხრა, მეგობრის დაბადების დღეზე ვიქნები საღამოს, მერე გამომიარე და შინ გამაცილეო. იმ საღამოს ტატოს დისშვილმა ხელი მოიტეხა და შეყვარებულთან წასვლის ნაცვლად, ბიჭი დას საავადმყოფოში გაჰყვა. ღამე მარის დაურეკა, მაგრამ მას ტელეფონი გამორთული ჰქონდა. მეორე დღეს გოგონა სკოლაში არ მოვიდა და ტატომაც გაკვეთილების შემდეგ შინ მიაკითხა. კარი ქალბატონმა ნანამ გაუღო და ტატოს უთხრა, რაც გუშინ დაბადების დღიდან მოვიდა, ოთახიდან არ გამოსულა, ტირისო.

ბიჭმა ოთახის კარი შეაღო და ლოგინზე დამხობილი და მტირალი მარი დაინახა. მივიდა, ბოდიში მოუხადა და უთხრა, აღარასოდეს დაგტოვებ მარტო, უბრალოდ ასე მოხდაო, თუმცა გოგონამ ტირილს უმატა და უამბო: „შენ რომ არ მოხვედი, ვიღაც კაცმა მითხრა, სახლამდე მე წაგიყვანო. დიდი კაცი იყო, 30 წელზე მეტის. იმ ოჯახის ნათესავი. ჩამისვა მანქანაში და გზაზე გამაუპატიურა. გესმის ტატო, გამაუპატიურა, მერე სახლთან ჩამომსვა და ასე მითხრა, სადმე თუ იტყვი, მოგკლავ, პოლიციელი ვარო“...

ტატოს აღარაფერი ესმოდა, შეყვარებულის სახლიდან გიჟივით გავარდა, დაახლოებით ნახევარ საათში იცოდა, ვინც იყო ის პოლიციელი, კიდევ ნახევარ საათში გარდაცვლილი მამის კუთვნილი სანადირო თოფი გადაჭრა, „აბრეზი“ ქამარში ჩაიდო და მოძალადის სახლთან გაჩერდა. პოლიციელი შინიდან გამოვიდა, „ჯიპი“ დაქოქა და ტატო უკანა სავარძელში ჩაუჯდა. გაკვირვებულმა კაცმა მოიხედა, მაგრამ პატარა ბიჭი რომ დაინახა, დამშვიდდა.

— მარი შენ გააუპატიურე? — რაც შეიძლებოდა მშვიდი ხმით ჰკითხა.

— კი არ გავაუპატიურე, ძლივს მოვიცილე, მთელი გზა მკოცნიდა და აბა, რა უნდა მექნა?! — ღიმილით დაუდასტურა კაცმა. ეს მისი ბოლო სიტყვები იყო — ტატომ „აბრეზი“ ამოიღო, კეფაზე მიადო და სასხლეტს გამოჰკრა... შემდეგ მანქანიდან გადმოვიდა, არეული ნაბიჯით გაეცალა იქაურობას, თუმცა ზუსტად ორ წუთში თავში გაუელვა — ეგებ არ მოკვდა?... და უკან დაბრუნდა, ავტომობილთან შეკრებილი ხალხის ნაკადი მისნი-მოსნია, უკვე მიცვალებულს „აბრეზი“ მეორედ დაადო თავზე და ისევ გაისროლა. სანამ ხალხი გონს მოეგო, ტატო იქაურობას სირბილით გაეცალა...

საღამოს სამართალდამცავებმა ტატო მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. ყველა შოკში იყო, თავად ეჭვმიტანილი კი ამბობდა, სასამართლო სიმართლეს რომ გაიგებს, არ დამიჭერს და გამიშვებენო. სასამართლოზე მთავარი მოწმე მარი იყო. გოგონა თავდახრილი მოვიდა, სხდომა დახურეს და...

„მე ტატოს ვუთხარი, რომ იმ ბიჭს ძალა არ უხმარია. მე ტატო აღარ მიყვარდა. იმის გვერდში ყოფნა მერჩივნა და ამიტომ, დავნებდი. მე არავის გაუუპატიურებივარ და უბრალოდ ტატომ ის ვერ აიტანა, რომ სხვისი გულისთვის ხელი ვკარი“, — განაცხადა მარიმ.

ეს ჩვენება ყველასთვის შოკისმომგვრელი იყო. გოგონამ ჩვენება აღარ შეცვალა, ტატოს მეგობრებმა კი შეატყობინეს, რომ გარდაცვლილის მამამ მარის ოჯახს უზარმაზარი ფული გადაუხადა და ოჯახი უბნიდან უკვე სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. სასამართლომ ტატოს არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი მაქსიმუმი — 9 წელი მიუსაჯა და „მატროსოვზე“ გაისტუმრა.

იქ მისულს ახალი გამოცდა ელოდა. გარდაცვლილის მამამ ოფიცრებს უთხრა, „სროკი“ ჯოჯოხეთად უქციეთ და რაც გინდათ, მთხოვეთო. მეორე დღესვე ტატოს საკნის კარი გაიღო და ერთ-ერთი ოფიცერი შევიდა. მან ტატოს შეხედა, რომელიც ყავისთვის მადუღარაში წყალს ათუხთუხებდა. ოფიცერმა ბიჭს დედა შეაგინა, რა კაცი ჩადე მიწაშიო. პატიმარმა ჯერ ოფიცერს შეხედა, მერე მადუღარას და მდუღარე წყალი სახეში შეასხა. მეორე დღეს ტატოს ახალი ბრალი წარუდგინეს და ოფიცერზე თავდასხმის გამო წელიწადი დაუმატეს. ერთ თვეში სამართალდამცავებმა ვიღაც ქალი მიიყვანეს სასამართლოზე, რომელმაც ტატოს ყაჩაღობაში დასდო ბრალი, ამოიცნო კიდეც ამ დანაშაულისთვის და შეკრებითობის პრინციპის გამოყენებით, ტატოს კიდევ 5 წელი დაუმატეს. ჯამში მას 15-წლიანი სასჯელი გამოუვიდა, რაც არასრულწლოვანთათვის უპრეცედენტო იყო...

ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ, რუსთავის №17 დაწესებულებაში ახალი ეტაპი მოიყვანეს. მაყურებლებმა უკვე იცოდნენ, რომ „მატროსოვიდან“ ის „მალალეტკები“ მოჰყავდათ, რომლებიც სრულწლოვანები გახდნენ. მართლაც, „ვარონკიდან“ ოთხი ბიჭი ჩამოხტა. სრულწლოვანობის მიუხედავად, ბავშვური სახეები ჰქონდათ. მაყურებლებმა ღიმილით შეხედეს ერთმანეთს, შემდეგ ახალმოსულებთან მივიდნენ, ხელი მეგობრულად ჩამოართვეს და თავის საკანში დაპატიჟეს.

— მე ტარასა ვარ, „მალალეტკების“ ზონას ვუყურებდი. კარგი „პალაჟენია“ დავტოვე და ახლა აქ, „ვზროსლებში“ უქმად ყოფნას არ ვაპირებ. ჩამახედეთ საერთოებში, საქმე მომეცით და მივხედავ, — ერთ-ერთი ახლადმოყვანილი ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ საუბრობდა.

— რაზე ზიხარ? — ჰკითხა ზონის მაყურებელმა.

— მკვლელობაზე. სამი წლის წინ, ჯიპში ტიპს ორი გასროლით რომ...

— გამახსენდა. ჩემ უბანში მოხდა ეგ ამბავი. შენ ტატო ხარ, ხო? — გაეღიმა მაყურებელს.

— ტატო არა, ტარასა, — უპასუხა ახლადმოსულმა და მიწოდებული „ჩეფირი“ ხარბად მოსვა.

ექვსი თვის შემდეგ რუსთავის №17 ზონის მაყურებელი ე.წ. კრიტში წაიყვანეს. ზონის მაყურებელი მეორე დღიდან უკვე ტარასა იყო...

ვერსიანიუსი

ვარკეთილში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს პირველი განყოფილების და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ვარლამ ჩ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 17 ივნისს ვარლამ ჩ-მ ვარკეთილის დასახლებაში, გახოკიძის ქუჩაზე, შურისძიების ნიადაგზე ურთიერთშელაპარაკებისას, 1969 წელს დაბადებულ გელა ა-ს ბლაგვი საგნით სხეულზე მძიმე დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გელა ა. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ვარლამ ჩ. მომხდარიდან მეორე დღეს დაიკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

სამართალი

უზენაესის სტატისტიკა - 2014 წლის 5 თვე

სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკა არა მარტო მოსამართლეების მუშაობის მაჩვენებელს ასახავს, არამედ, ამ სტატისტიკის მიხედვით, მარტივად შიძლება დადგინდეს თუ როგორია ქვეყანაში კრიმინალური სიტუაცია, რამდენად ხშირად მიმართავენ მოქალაქეები სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად და რა თანხებზე შეიძლება ედავოს კერძო მეწარმე სახელმწიფოს.

ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე (www.supremecourt.ge) გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები იძლევა.

სისხლის სამართლის საქმეები

2014 წლის 5 თვის მონაცემებით, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ განხილულია 6371 სისხლის სამართლის საქმე, 7169 პირის მიმართ. სასამართლოებმა განაჩენის გამოტანით დაასრულეს 6262 საქმე (7015 პირი). მათ შორის საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 4534 საქმეზე (5062 პირი). შეწყდა სულ 30 საქმე (56 პირი), ხოლო დაბრუნდა დამატებით ძიებაში 79 საქმე (98 პირი).

სტატისტიკის თანახმად, სასამართლოების მიერ სულ განხილული საქმეებიდან არსებითად განიხილულია- 1758 საქმე (2009 პირი).

რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენებს, სულ გამართლებულია 68 პირი (33 საქმეზე), ნაწილობრივ გამართლებულია 48 პირი (26 საქმეზე).

მსჯავრდებულია 6946 პირი, მაშინ, როცა გასული წლის იგივე პერიოდში სულ მსჯავრდებული იყო 5163 პირი. მსჯავრდებული პირებიდან სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელები ასე გადანაწილდა: 2640 პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, 3115 პირს - პირობითი მსჯავრი, ჯარიმა- 1031 პირს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 157 პირს, ხოლო გათავისუფლდა ამნისტიით ან სხვა საფუძვლით - სამი პირი.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში კი საქმეთა განხილვის შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა 2014 წლის 5 თვეში განიხილეს 493 სააპელაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა გამამტყუნებელი განაჩენი და სააპელაციო ინსტანციამ 8 საქმეზე (10 პირის მიმართ) გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოიტანა, შეწყდა 2 საქმე, შეუმსუბუქდა სასჯელი 102 პირს (92 საქმე), ხოლო სასჯელი შეეცვალათ პირობითი მსჯავრით 114 პირს(102 საქმეზე).

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სულ განიხილეს პროკურორის 120 საჩივარი და მათ შორის დაკმაყოფილდა მხოლოდ 35 მოთხოვნა.

მთლიანობაში სააპელაციო სასამართლოებმა გააუქმეს ან შეცვალეს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები 135 საქმეზე (148 პირი), ხოლო სტაბილური დარჩა გადაწყვეტილება 358 საქმეზე (426 პირის მიმართ). სულ სტაბილურობის მაჩვენებელი საპელაციო ინსტანციაში 72,6 პროცენტია.

საკასაციო ინსტანციის სასამართლო მოგეხსენებათ, ბოლო ინსტანციაა და ამიტომ სტაბილურობის პროცენტი ამ ინსტანციის სასამართლოში მნიშვნელოვანია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მუშაობის შეფასების თვალსაზრისითაც.

უზენაესი (საკასაციო) სასამართლოს მიერ 2014 წლის 5 თვეში სისხლის სამართლის საქმეთა მიმართულებით სულ განხილულია 150 საკასაციო საჩივარი (173 პირის მიმართ). მათ შორის შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი 3 საქმეზე, შეიცვალა მხოლოდ სასჯელი 2 საქმეზე.

შესაბამისად, უზენაეს სასამართლოში სტაბილურობის მაღალი პროცენტი - 94,7 % დაფიქსირდა, რაც ექსპერტთა განმარტებით, ნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები გამართული და კარგად დასაბუთებულია.





როგორია 2014 წლის 5 თვის მონაცემების თანახმად, აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების სტატისტიკა. აღკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება შეეფარდათ მხოლოდ 34,1 %-ს, გირაო-58,2%-ს, ხოლო სხვა არასაპატიმრო ღონისძიებები-7,7 %-ს.

სამოქალაქო საქმეები

2014 წლის 5 თვის მონაცემებით, მთელი საქართველოს მასშტაბით სულ სასამართლოებში განსახილველად შემოვიდა 16181 სამოქალაქო საქმე, (2519 საქმით მეტი 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით).

პირველი ინსტანციის სასამართლოებმა განიხილეს 11197 საქმე, მათ შორის გადაწყვეტილების გამოტანით დასრულდა 8007 საქმე, შეწყდა 1326 საქმე, ხოლო დატოვებულია განუხილველად 1864 საქმე.

ადმინისტრაციული საქმეები

სამოქალაქო საქმეებისგან განსხვავებით, სასამართლოში შესული ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების რაოდენობამ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იკლო.

სულ 2014 წლის 5 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა განიხილეს 2422 საქმე, მაშინ როცა 2013 წლის 5 თვეში- 4007 საქმე შევიდა სასამართლოებში. მათ შორის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა შეიტანეს 172 სარჩელი, ხოლო ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა 2250 სარჩელი.

სასამართლოში განხილვის შედეგად ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დასრულდა 1064 საქმე, ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ 1231 საქმე. მორიგებით დასრულდა 14 საქმე.

იგივე კატეგორიის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ სულ განხილულია 190 საკასაციო საჩივარი. აქედან, 68 საქმე დამთავრდა ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ, ხოლო 109 საქმე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მოიგეს. 1 საქმე დასრულდა მორიგებით. 10 საქმე დაბრუნდა ხელახალი განხილვისთვის, მათ შორის, 7 საქმე გადაწყდა ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ, ხოლო სამი საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ.

ადმინისტრაციულ საქმეების კატეგორიას განეკუთვნება ასევე საგადასახადო დავები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ 2014 წლის 5 თვეში განიხილა 24 საკასაციო საჩივარი საგადასახადო დავებზე. აქედან სამი საქმე დასრულდა საგადასახადო ორგანოს სასარგებლოდ, ხოლო 16 საქმე დამთავრდა ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ. 5 საქმე დაბრუნდა ხელახალი განხილვისთვის.

რაც შეეხება, საგადასახადო დავას საგნის ღირებულების მიხედვით. 50 000 ლარამდე განხილულია საკასაციო საჩივარი 14 საქმეზე, 100 000-დან 500 000 ლარამდე - 6 საქმე, 500 000-დან 1000000 ლარამდე - 2 საქმე. საქმეები, სადაც სასარჩელო მოთხოვნა მილიონ ლარამდე დავას შეეხებოდა ასეთი შედეგით დასრულდა: ერთი საქმე დამთავრდა ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ, ხოლო ერთი საქმე - ფიზიკური პირის სასარგებლოდ.

კონსტანტინე კუბლაშვილმა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექტივს იუბილე მიულოცა

2014 წლის 30 ივნისს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსების დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა.

„ჩვენ - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი," - ასე ერქვა გამოფენა-პრეზენტაციის ფორმატით წარმოდგენილ ცენტრის საქმიანობის ანგარიშს. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ცენტრის სამეცნიერო, კულტურული და საზოგადოებრივი საქმიანობის, საერთაშორისო თანამშრომლობის ამსახველი საილუსტრაციო მასალა. ბოლო წლების განმავლობაში შემოწირული ხელნაწერები და ცენტრის გამოცემები.

საქართველოს უზენაესი სასამართლო უკვე რამდენიმე წელია აქტიურად თანამშრომლობს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან. სასამართლოს თანადგომით გამოიცა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" მეორე ტომი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აქტიური დახმარებით უზენაეს სასამართლოში ამოქმედდა „მართლმსაჯულების მუზეუმი".

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს ბუბა კუდავას სასამართლოს სახელით მიულოცა დაარსების დღე და სამახსოვროდ მართლმსაჯულების სიმბოლო - თემიდას მინიატურული ქანდაკება გადასცა.

ვერსიანიუსი

ბაჩო ახალაიას სერგო თეთრაძის გარდაცვალების საქმეზე ბრალი წარედგინა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სერგო თეთრაძის გარდაცვალების საქმეზე, საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ბაჩანა ახალაიას წარუდგინა ბრალდება წამების, სექსუალური ძალადობის ორგანიზებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის.

პროკურატურის ინფორმაციით: „გამოძიებით დადგენილია, რომ თავდაცვის მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასა და 8 საპყრობილის დირექტორ ალექსანდრე მუხაძესთან ერთად გადაწყვიტა, წარმატებული ხელმძღვანელის სახელის მოსაპოვებლად, უდანაშაულო მოქალაქეთა წამების გზით, მიეღო აღიარებითი ჩვენებები, რასაც გაავრცელებდნენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, თითქოსდა გამოვლენილი ჰყავდათ ე.წ. ჯაშუშური ჯგუფი.

2011 წლის სექტემბერში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა, ალექსანდრე მუხაძე და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელი, ჯაშუშობის აღიარების მოთხოვნით, დაახლოებით 4-5 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ სცემდნენ და დამამცირებლად ეპყრობოდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერს, ვიცე-პოლკოვნიკ დავით ლონდარიძეს, თადარიგის პოლკოვნიკ სერგო თეთრაძეს და მოქალაქეებს — სერგეი ჩაპლიგინს და გიორგი გორელაშვილს.

ბაჩანა ახალაიამ იარაღი მიაბჯინა სახეზე ლონდარიძეს და დაემუქრა მოკვლით, თუ ის არ აღიარებდა დანაშაულს, თან აგინებდა და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. როცა ცემისაგან დაუძლურებულ ლონდარიძეს მეგის ქარდავა დაემუქრა სექსუალური ძალადობით, იგი იძულებული გახდა, ეღიარებინა, თითქოსდა ჯაშუშობდა საქართველოს წინააღმდეგ.

მორიგი იძულებითი აღიარების მიღების მიზნით, მეგის ქარდავა, სამხედრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, გიორგი გორელაშვილს მთელი დღის განმავლობაში აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. კერძოდ, სისტემატურად სცემდნენ პლასტმასის მილით, ემუქრებოდნენ, რომ მავთულის დიდი ზომის საჭრელი მაკრატლით თითებს დაჭრიდნენ. მას ყელზე შეაბეს იარაღის დასამაგრებელი ტყავის თასმა და აიძულებდნენ ოთხზე ეხოხა შენობის დერეფანში. როცა დარწმუნდნენ, რომ გორელაშვილი არ აღიარებდა არჩადენილ დანაშაულს, იგი, როგორც „ჯაშუშობაში" ბრალდებული, გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში.

სერგო თეთრაძესაც აყენებდნენ ძლიერ ფიზიკურ და მორალურ ტანჯვას, თავზე ჩამოაცვეს პოლიეთილენის პარკი და არ აძლევდნენ სუნთქვის საშუალებას. სერგო თეთრაძემაც, მიუხედავად მის მიმართ განხორციელებული ძლიერი ფიზიკური ძალადობისა, არ აღიარა დაბრალებული დანაშაული. ამის გამო, ბაჩანა ახალაიამ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასთან ერთად ორგანიზება გაუკეთა სერგო თეთრაძის წამებასა და სექსუალურ ძალადობას, რის საფუძველზეც, 2011 წლის 23 სექტემბერს, ახალაიას გეგმის მიხედვით, №8 საპყრობილეში მოთავსებულმა პატიმრებმა — ალექსი ტერაშვილმა და თამაზ სისაურმა საკანში, თეთრაძის მიმართ განახორციელეს სექსუალური ძალადობა. თეთრაძე გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა გონსმოუსვლელად. ამ საქმეზე უკვე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და გასამართლებულნი არიან სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე მეგის ქარდავა, №8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე, ამავე დაწესებულების თანამშრომლები — ვიქტორ ყაჭეიშვილი და ოლეგ ფაცაცია. თითოეულს სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება ბაჩანა ახალაიას, როგორც ამ დანაშაულის ორგანიზატორს, მისი ბრალდების საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144/1-ე მუხლის მეორე ნაწილით, 25,138-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გრძელდება, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების 9-დან 15 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს".

„პირველი"

„თუ ევროპულ სივრცეში გვინდა, ევროპულად ცხოვრებასა და ბევრ მუშაობას უნდა მივეჩვიოთ“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

რა მოლოდინი აქვთ მოქალაქეებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ

27 ივნისს, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ევროკავშირის მხრიდან — ევროკომისიის პრეზიდენტმა, ჟოზე მანუელ ბაროზომ, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ და ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის ლიდერებმა.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულება 1 135-გვერდიანია. შეთანხმების ხელმოწერის შემდგომი ნაბიჯი პარლამენტების მიერ დოკუმენტის რატიფიკაციაა. ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მისი რატიფიცირება საქართველოს, ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის პარლამენტებმა, ასევე ევროპარლამენტმა უნდა მოახდინონ. პირველი ამ ნაბიჯს ლატვია გადადგამს, 3 ივლისს. ივლისში გეგმავს დოკუმენტის რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტიც.

ხელშეკრულების ძალაში სრულად შესვლა 2015 წლისთვისაა ნავარაუდევი, თუმცა უკვე მიმდინარე წლის შემოდგომაზე წინმსწრებად ამოქმედდება შეთანხმების ნაწილი, მათ შორის DCFTA — ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. საქართველომ და ევროკავშირმა უკვე მიიღეს „ასოცირების დღის წესრიგი“, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას წარმოადგენს.

„ვერსია“ დაინტერესდა, როგორია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისადმი ხალხის დამოკიდებულება და რა მოლოდინი აქვთ მათ 27 ივნისის შემდეგ. ამ მიზნით, რამდენიმე მოქალაქეს ვესაუბრეთ, რომელთა პოზიციებს, უცვლელად და უკომენტაროდ გთავაზობთ.

გიორგი გრიგალავა: „ნუ ვიჩქარებთ. მარტივად რომ ვთქვათ, ევროკავშირთან ინტეგრაცია ადვილი არ იქნება. დროთა განმავლობაში ყველაფერი ევროპული სტანდარტის გვექნება, მათ შორის პასუხისმგებლობაც. ბევრს არ მოეწონება, რადგან, პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილებები გველის. სავარაუდოდ, ყველაფერი შედარებით გაძვირდება, მაგრამ სხვა გზა არ არის. თუ ევროპულ სივრცეში გვინდა, ჩვენც ევროპულად ცხოვრებას, უპირველესად კი, ბევრ მუშაობას უნდა მივეჩვიოთ. ადვილი არ იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბარიერს გადავლახავთ“.

არჩილ მუშკუდიანი: „დღეს ქვეყანას რეალური სარგებელი სჭირდება და არა ტრალი-ვალი, თუნდაც გაევროპელებული შალახო. სახეზეა მხოლოდ ვალდებულებები, ახალი რეგულაციების თავსმოხვევა და არანაირი რეალური სარგებელი, რომელიც ხალხის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე აისახება. თავდაცვით იარაღსაც კი არ გვაძლევენ, რაზეა საერთოდ საუბარი?“

გივი მეტონიძე: „რეალური სარგებელი იქნება იმ სტანდარტებთან მიახლოება, რაც ევროპაში მოქმედებს. მინდა, ევროპული სასამართლოს ანალოგი საქართველოში, იქაური პოლიციის მსგავსი ქართული სამართალდამცავი ორგანოები, ევროპულ განათლების სისტემასთან მიახლოებული განათლების სისტემა... ხალხის კეთილდღეობაზე პირდაპირ როგორ უნდა აისახოს, ფულს ხომ არ ჩაგვიდებენ ჯიბეში? ფულს არავინ მოგვცემს, ბევრი მუშაობა მოგვიწევს“.

ნათელა ჭანტურია: „ასოცირების ხელშეკრულებაზე თურქებს 1962 წელს აქვთ ხელი მოწერილი და მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ბაზრის გახსნის შემდეგ დადგნენ ფეხზე, ბოლო 20 წელიწადია. ჩვენივე საქონლის ბუნებრივ ბაზარს ვკარგავთ და იმის დაპყრობა გვინდა, რომელიც გაჯერებულია დასავლური სტანდარტების საქონლით. მასთან მიახლოებისთვისაც კი მილიარდობით ინვესტიციაა საჭირო. უფრო მეტად გაივსება ქართული ბაზარი დასავლური საქონლით. ხოლო ჩვენთან რაც მუშაობს, ისიც ბევრი გაჩერდება. ხალხს ისევ ილუზიებით კვებავენ, მაგრამ მალე მიხვდებიან ამ მორიგ აფერას“.

რეზო მინდიკაური: „ზოგადად, ევროპას ჯობია რუსეთს – ტექნოლოგიებით, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესით, პროდუქციის ხარისხის სტანდარტებით, განათლების დონით, არქიტექტურით, კულტურისა თუ ხელოვნების მიღწევებით და თუნდაც სპორტით. აღარაფერს ვამბობ, ევროპელების მაღალ სამოქალაქო წესრიგზე... ამიტომ ევროპასთან ინტეგრაციისათვის გადადგმული ყოველი ნაბიჯი მხოლოდ მისასალმებელია“.

სოსო კოჭლამაზაშვილი (სიღნაღის მკვიდრი): „ბოლო დროს ბევრს ვეკითხები, რას ფიქრობენ ასოცირების შეთანხმებაზე. პასუხების უმრავლესობა ასეთია: „რამე კარგი რო იყოო, ექამდე ტვინ მაიწამლიდნენ (ამას ცოტა სხვანაირად კი ამბობენ), აი გეშველებათ გლეხებ ან ვისმესო, მარტო იძახიან, შავდივართ და გიხაროდეთო – შე მამაძაღლო, ის მაინც მითხარ, რა მაქ სასიხარულო, იქნება მართლა გამიხარდეი; ან ეგ რა არი, მა ევროპაში მაგრე შვრებიან, სადმე რო შადიან, ხალხ არ ეკითხებიან და ეგრე ჯოგივით ერეკებიან?“ მე, როგორც პროცედურული დემოკრატიის სულისკვეთებით გაჟღენთილი მოქალაქე, არ ვნებდები და ვცდილობ, აზრი შევაცვლევინო, რადგან ასოცირების მთავარი სიკეთეები, უვიზო მიმოსვლა და პროდუქციის ევროპის ბაზარზე გატანაა. არგუმენტებიც მომყავს. ვიცი, უვიზო მიმოსვლა აქ ნაკლებად აინტერესებთ, ამიტომ პროდუქციის გატანაზე ვაკეთებ აქცენტს. ვაქებ ევროპულ ბაზარს და დიდ პერსპექტივებს ვპირდები. ამაზე იცინიან, იგინებიან კიდეც. გინების მასშტაბები სხვადასხვაა – ნიჭისა და უნარის მიხედვით. ვიცი, ინტელექტუალებს ეს საუბარი პრიმიტიულად და არასერიზულად მოგეჩვენებათ, მაგრამ შევეცდები, აზრი შეგაცვლევინოთ. ერთ მაგალითს მოვიყვან, რომ მათი დამოკიდებულების რეალურ მიზეზებს ჩაწვდეთ — 1 ლიტრი ღვინის ფასი 2-2,5 ლარია. თავად გლეხები კი, ღვინოს 1,2—1,3 ლარად ყიდულობენ. თუ გაგიმართლა, შეიძლება 1,5 ლარიც მოგცენ. ამაზე მეტს არ იხდიან. ნაღდ ღვინოზე აღარაფერს ვიტყვი. როგორც კახეთში ამბობენ, „ნამუსიანად გაკეთებული“ (როცა შაქარსა და წყალს ასხამ ახლად დაწურულ ყურძენს) ღვინის თვითღირებულება დაახლოებით 1,5 ლარია. ასეთი გაკეთებული ღვინის ჩაბარებაც კი არ უღირთ ამ ფასებში. მაშ რას ყიდულობენ და რას ყიდიან სავაჭრო წერტილებში? ყიდულობენ რამდენჯერმე განაკეთებ ღვინოს, რომლის თვითღირებულებასაც მხოლოდ იმ შაქრის ღირებულება წარმოადგენს, რითაც გააკეთეს. ფაქტობრივად, ეს არის შაქრიანი წყალი, რომელსაც ფერიც კი თეთრი აქვს; ღვინის ფერს აძლევენ დამწვარი შაქრით. შეგიძლიათ ნებისმიერ ბაზარში იყიდოთ და ლაბორატორიაში შეამოწმოთ. არც ერთი მათგანი არ არის ღვინო! ნაღდი ღვინის გაყიდვის ერთადერთი ადგილი საკუთარი სახლია, სადაც თანასოფლელების სახით, კონკურენტი ბევრია, კლიენტი კი — ცოტა. ამიტომ, ბოლო წლებია ყურძნად ჩაბარებას ამჯობინებენ და ცოტას წურავენ სახლისთვის. დღეს, ადგილობრივ ღვინის ბაზარზე ნამდვილი ღვინო კონკურენციას ვეღარ უწევს შაქრიან წყალს! ამ ფონზე, გლეხი, რომელსაც საკუთარი ქვეყნის აგრარულ ბაზრებზე ვერ გააქვს პროდუქცია, ევროპულ ბაზარზე გასვლას რომ დაპირდებით და გაეცინება, ადეკვატურია?“

 პრობლემა

რიკოთის მიდამოებში მეწყერის გახშირებას ტყის უმოწყალო ჩეხვას აბრალებენ

მთავრობა უღელტეხილთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავებს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, ხათუნა გოგალაძის განცხადებით, გეოლოგებმა რიკოთის უღელტეხილის 146-ე კილომეტრზე არსებული მდგომარეობა წინასწარ უკვე შეაფასეს. მისი თქმით, ამ ეტაპზე გეოლოგების წინასწარ დასკვნასა და რისკებს აანალიზებენ, რის შემდეგაც საჭირო რეკომენდაციებს შეიმუშავებენ: **„გაწმენდითი სამუშაოები გრძელდება. პროცესში პირველივე დღიდან ჩაერთნენ გეოლოგები. მალე მოვამზადებთ რეკომენდაციებს, რა გაკეთდეს და რა საინჟინრო გადაწყვეტილება მივიღოთ, რათა ეს მონაკვეთი უსაფრთხო გახდეს“.**

რიკოთის უღელტეხილის 146-ე კილომეტრზე მეწყერი განმეორებით ჩამოწვა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევთან 3 ათასი კუბური მეტრი მოცულობის მიწისა და კლდის მასის ჩამოშლამ მთლიანად გადაკეტა საავტომობილო გზის სავალი ნაწილი. ამ მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა და გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზაზე გადაერთო.

მთავრობის შეფასების გარეშეც, ადგილობრივები რიკოთის უღელტეხილის მიდამოებში მეწყერის გახშირებას ტყის უმოწყალო ჩეხვას აბრალებენ. ცნობილია, რომ სადღეღამისო ბრიგადები მწვანე საფარს 24-საათიან რეჟიმში ანადგურებენ. ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ხანია შიშობს, რომ ლიხის ქედზე შეფენილ სოფლებს მეწყერი წალეკავს. ხალხი კიდევ ერთხელ მიმართავს ინვესტორს და მთავრობას დახმარებას სთხოვს: **„წვიმა, დიდი ნალექი რომ მოვიდეს, ჩვენი სოფლები აღარ იქნება, სტიქია წაგვლეკავს. მერამდენე წელია ტყე იჩეხება, ბოლო დროს კი ძალიან გააქტიურდნენ — არანორმალური ჭრა მიდის, ჩადგეს ჯიხურები და დღეღამ მუშაობენ. ყველგან ხეების ნარჩენები ყრია. გაჩეხილი ტერიტორია არ სუფთავდება. პატრონი არ გამოგვიჩნდა! იქნებ ვინმემ მოგვაქციოს ყურადღება და დაგვეხმაროს“.**

ჯერ კიდევ შარშან, პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრმა გია გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ ყველა ლიცენზია, რომელიც წინა ხელისუფლების დროს გაიცა, გადასახედია. თუმცა ასეთ კრიტიკულ დამოკიდებულებას რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

ტყეების სარგებლობის მრავალწლიანი ლიცენზიების გაცემის ინიციატივა ექსმინისტრ კახა ბენდუქიძეს ეკუთვნის. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ ბენდუქიძის რეკომენდაციით, უარი თქვა ინვენტარიზაციაზე და აუქციონზე ტყეთსარგებლობის მრავალწლიანი ლიცენზიები გამოიტანა. სალიცენზიო პაკეტების მომზადებისას გამოიყენეს ვადაგასული დოკუმენტაცია. ტყეები წინასწარი შეფასების გარეშე გაიცა, დაირღვა საქართველოს ტყის კოდექსი. ინვენტარიზაციის გარეშე ტყეების გასხვისებამ ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანად მოვლენებს მიღმა დატოვა, რადგან მათ ინფორმირებულობასა და ჩართულობას, კოდექსის მიხედვით, სწორედ ინვენტარიზაციის პროცედურა უზრუნველყოფდა.

ტყის მასივების შემცირებაზე ხშირი სტიქიაც მიუთითებს. რა რაოდენობის ხე-ტყის ექსპორტი გაედინება ქვეყნიდან, ამასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს.

2011 წლის ზაფხულში, რესტორან „რიკოთისა“ და მისი მიმდებარე ტერიტორიის დამეწყვრის შედეგად, ექვსი ადამიანი დაიღუპა. სათავეში ასვლისას გამოჩნდა, რომ წყალმა მიწა იმ ადგილიდან მოწყვიტა, რომლის ირგვლივაც რამდენიმე ათეული მეტრის რადიუსზე, ხეები გაჩეხილია. ტყის ფერდობზე ასვლისას შესაძლებელი გახდა ხეობის მეორე მხარის დანახვაც, სადაც ტყე იმ დონეზეა შეთხელებული, რომ ასეულობით მეტრის დაშორებით გაჩეხილი ადგილები და მოჭრილი ხის ძირები ჩანს. ასევე, კარგად ჩანს, რამდენიმე დამეწყრილი მონაკვეთიც, რომლებიც სათავეს ასევე გაჩეხილი ტერიტორიებიდან იღებს.

მაშინაც მეწყრის ერთ-ერთ მიზეზად ტყეების მასობრივი განადგურება დასახელდა. 2011 წლის შემდეგ უღელტეხილზე ტყის ჩეხვის პროცესი არ შეჩერებულა.

გეოლოგების შეფასებით, მეწყერის ჩამოწოლის თვალსაზრისით, კავკასიაში საქართველო უმაღლესი რისკის ზონაა. საქართველოს ტერიტორიის 70%, ანუ მილიონ ჰექტარზე მეტი დამეწყრილია. სულ ქვეყანაში 53 ათასი მეწყრული უბანია, რომელთა გააქტიურება ქვეყნის მიწის ფონდს ყოველწლიურად ანადგურებს, განსაკუთრებით საშიშ ზონაში კი 400 ათასი ოჯახი ცხოვრობს.

სუდოკუ

ადვილი

8		6		7				
					5		7	
		9	2					5
3			4	2			9	
	4						5	
	6			3	8			1
7					2	3		
	2		1					
				4		2		6

სტანდარტი

6				1				
8			3		2			
5	4				7		6	
1		6					2	7
2	5					4		8
	7		6				8	2
			8		9			5
				7				6

რთული

	7			4				6
				2	1		8	
5			3			9		
	3	2	1					
				5				
					3	1	9	
		8			5			2
	1		8	9				
3				1			7	

ექსპერტი

5					2			
	7				3		1	9
						6		4
4			2		9		6	
	8						3	
	1		8		5			2
1		5						
9	6		5				2	
			4					1

მექორწილეებს სარეცხი საშუალება აჭამეს

ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინციაში, ერთ-ერთი მდიდრული ქორწილის უკლებლივ ყველა — 170 სტუმარი მოიწამლა და ისინი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მიზეზი კი ის გახდა, რომ მზარეულმა შემთხვევით, საფირმო სუპში, მარილის ნაცვლად, ჟანგის მოსაცილებელი საშუალება ჩაყარა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, სუპი ერთ დიდ ქვაბში მოიხარშა. სადილობისას სტუმრებმა შენიშნეს, რომ კერძი უმარილო იყო, მაგრამ მზარეულებმა დაარწმუნეს, მომზადებისას სუპში საკმაოდ ბევრი მარილი ჩაყარეს. ერთი საათის შემდეგ ქორწილის ყველა სტუმარი ცუდად გახდა. ჰოსპიტალში მიყვანილებს ლამის მთელი დღე სტანჯავდა ღებინება და დიარეა. საბედნიეროდ, თავად ხელმოწერის სადღესასწაულო ცერემონია მეორე დღეს იყო დანიშნული და სიძე-პატარძალმაც და მათმა სტუმრებმაც ამ დროისთვის „აზრზე მოსვლა“ მოასწრეს.

ნაყინი ნიანგის სუნელით

ფილიპინების ქალაქ დავაოს მცხოვრებლებს და სტუმრებს, ამიერიდან, შეუძლიათ ეგზოტიკური დელიკატესი — ნაყინი ნიანგის არომატით დააგემოვნონ. როგორც მწარმოებლები აცხადებენ, ის გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე ჩვეულებრივი ნაყინი. მაღაზია Sweet Spot-ის მფლობელებმა არ იცოდნენ, სად წაეღოთ მთელი კალათა ნიანგის კვერცხები, რომელიც ნათესავმა გამოუგზავნა. ცოლ-ქმარმა რამოსებმა, რომლებიც საკონდიტრო ბიზნესით არიან დაკავებულნი, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და კვერცხი ნაყინისთვის გამოიყენეს. მალე მათი ექსპერიმენტული პროდუქტი ქალაქში ყველაზე პოპულარული დესერტი გახდა. მათ პატარა მაღაზიაში ყოველდღიურად ათობით ადამიანი მიდის „ნიანგის ნაყინის“ საჭმელად. რადგან ნიანგი გადაშენების პირას მყოფ სახეობად ითვლება, მხოლოდ „წუნდებულ“ კვერცხს ვიღებთ, რაც არ გამოიჩეკა. ის 80%-ით ცილისგან შედგება და ამიტომ ქათმის კვერცხზე გაცილებით სასარგებლოა, — აცხადებენ „ნიანგის ნაყინის“ მწარმოებლები.

მავნე ჩვევა აუქციონგე გაყიდა

ახალზელანდიელი ჯეიმს ჰერმანი არაერთხელ შეეცადა, მოწევისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ უშედეგოდ — ყოველ ჯერზე ცდუნებას ვერ უძლებდა. საამისოდ მოტივაცია არ ჰყოფნიდა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. თუმცა, მოხერხებულმა „რეკლამშიკმა“ გამოსავალი მაინც მოიძებნა და მავნე ჩვევის აუქციონზე გაყიდვა გადაწყვიტა. იდეის არსი შემდეგშია: მსურველი ჯეიმსისგან მოწევის უფლებას ყიდულობს. თუ ის აუქციონის შემდეგ სიგარეტს მაინც მოწევს, ვალდებული იქნება, მისი მავნე ჩვევის მყიდველს ათასი ახალზელანდიური დოლარი (800 აშშ დოლარი) გადაუხადოს, თანაც, ყოველ მოწეულ ღერზე. მას შემდეგ, რაც აუქციონზე ლოტი 300 დოლარად გაიყიდა (მიღებული თანხა ჯეიმსმა კიბოსთან ბრძოლის საქველმოქმედო ორგანიზაციას გადაურიცხა), ორივე მხარე ადვოკატთან გაეშურა და კონტრაქტი გააფორმა. ბოლო მოწეული სიგარეტის დღიდან უკვე ორი თვე გავიდა, თუმცა ახალზელანდიელი დარწმუნებულია, რომ ამჯერად საბოლოოდ დაივიწყა ეს მავნე ჩვევა. აღსანიშნავია, რომ სულ უფრო მეტი ფსიქოლოგი ურჩევს მსურველებს, მოწევას თავი ამგვარი გზით დაანებონ — საკუთარი მიზნის მისაღწევად მსხვილი ფულადი ჯარიმის გამოყენება საუკეთესო შედეგისმომტანია.

წინა ნომერში გასუდოკუ სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	4	2	9	8	7	6	5	3
5	7	3	6	4	2	1	9	8
9	8	6	3	5	1	4	2	7
8	6	5	4	7	3	2	1	9
7	3	4	2	1	9	8	6	5
2	1	9	8	6	5	3	7	4
6	5	1	7	3	8	9	4	2
4	9	8	5	2	6	7	3	1
3	2	7	1	9	4	5	8	6

სტანდარტი

7	4	6	5	3	2	1	9	8
1	3	8	9	6	4	2	7	5
5	2	9	8	1	7	6	4	3
6	1	2	4	5	3	9	8	7
4	9	5	7	8	1	3	6	2
8	7	3	2	9	6	4	5	1
3	8	7	1	4	9	5	2	6
2	6	4	3	7	5	8	1	9
9	5	1	6	2	8	7	3	4

ადვილი

9	1	4	3	7	5	8	2	6
7	2	3	1	8	6	9	5	4
8	6	5	4	9	2	7	1	3
3	9	8	5	6	1	2	4	7
2	7	6	9	4	8	5	3	1
5	4	1	2	3	7	6	9	8
1	8	2	7	5	4	3	6	9
6	5	9	8	1	3	4	7	2
4	3	7	6	2	9	1	8	5

სტანდარტი

9	8	2	7	6	5	1	4	3
1	7	3	4	2	9	8	6	5
6	5	4	1	3	8	7	2	9
3	9	8	5	4	7	2	1	6
7	6	5	3	1	2	4	9	8
2	4	1	9	8	6	5	3	7
4	3	9	8	5	1	6	7	2
8	2	7	6	9	4	3	5	1
5	1	6	2	7	3	9	8	4

რთული

9	8	5	4	3	7	2	1	6
1	4	6	5	9	2	8	3	7
3	2	7	8	6	1	9	5	4
8	6	2	1	5	9	7	4	3
7	3	4	2	8	6	1	9	5
5	1	9	7	4	3	6	2	8
2	5	8	6	1	4	3	7	9
4	7	3	9	2	8	5	6	1
6	9	1	3	7	5	4	8	2

ექსპერტი

3	5	4	2	1	9	7	8	6
6	2	1	8	7	5	4	9	3
9	8	7	6	4	3	5	2	1
1	9	8	5	6	7	3	4	2
4	3	6	1	2	8	9	5	7
2	7	5	9	3	4	1	6	8
5	6	2	3	9	1	8	7	4
8	4	3	7	5	6	2	1	9
7	1	9	4	8	2	6	3	5

რთული

3	8	1	2	9	7	6	4	5
6	5	7	1	8	4	3	2	9
4	2	9	6	5	3	1	8	7
9	4	6	7	3	5	2	1	8
1	7	8	4	6	2	9	5	3
5	3	2	9	1	8	7	6	4
2	9	5	8	7	1	4	3	6
8	6	4	3	2	9	5	7	1
7	1	3	5	4	6	8	9	2

ექსპერტი

2	9	8	5	7	6	1	4	3
6	4	5	3	2	1	9	8	7
7	3	1	8	9	4	2	6	5
1	7	4	6	3	5	8	2	9
5	8	3	2	4	9	7	1	6
9	6	2	1	8	7	5	3	4
8	5	7	4	1	3	6	9	2
4	1	9	7	6	2	3	5	8
3	2	6	9	5	8	4	7	1

მე-10 გვერდი: 1. ლიმა; 2. სიო; 3. კლასერი; 4. ლიკვიდაცია; 5. სტოპერი; 6. რიანა; 7. ბალისტა; 8. ასტრონომია; 9. ისტებლიშმენტი; 10. ტრესტი; 11. აკრობატი; 12. რაკეტა; 13. ვებერი; 14. აზავერი; 15. სტატუეტი; 16. მაი; 17. აჩმა; 18. იკიკე; 19. მდარე; 20. ინერვაცია; 21. ზურაბი; 22. არაბიკა; 23. ვომბატი; 24. აცე; 25. ნალჩიკი; 26. მიიო; 27. ეთერი; 28. რეტი; 29. მაჯამა; 30. მია; 31. შალკე; 32. სიმდი; 33. მტილი; 34. ჯორჯონე; 35. მეკარე; 36. ლიბერია; 37. სვე; 38. ტაბურეტი; 39. აკორდი; 40. მზია; 41. ტენი; 42. რეი; 43. საათი; 44. ტაო; 45. ესე; 46. ელე; 47. ლოს; 48. აგა; 49. ანტენა; 50. ლოჯია; 51. არნო; 52. რეტრო; 53. მეტრეველი; 54. „ოლესია“; 55. ჰა; 56. ფინიში; 57. ობი; 58. ესაძე; 59. ენიო; 60. გეენა; 61. აფრა; 62. იავა.

მე-12 გვერდი: 1. ველასკესი; 2. შლიმანი; 3. ვივიპარია; 4. ლორდოზი; 5. სეიფი; 6. ლომგული; 7. მედალიონი; 8. ნარი; 9. კვარცი; 10. რიალი; 11. შასლა; 12. მადერა; 13. აგრონომი; 14. ტუპოლევი; 15. ალჩუ; 16. აპროში; 17. აზია; 18. იგლუ; 19. რაისი; 20. როკი; 21. ლია; 22. ფოიე; 23. კიტელი; 24. აბანო; 25. ამტი; 26. ინოვაცია; 27. ოზონი; 28. ბანზაი; 29. რეზიუმე; 30. ფარია; 31. არგო; 32. ნიტი; 33. ევრო; 34. ნიკე; 35. ექო; 36. ნანიზმი; 37. ნინევია; 38. მალა; 39. ნადალი; 40. ედი; 41. ევა; 42. ავუარი; 43. ვოკი; 44. „ოდოია“; 45. ირი; 46. რუბიკი; 47. ნუნუა; 48. ავა; 49. მი; 50. აკაკი; 51. იზეო; 52. არჩვი; 53. ფცა; 54. დიასტოლა; 55. რთველი; 56. აბედი; 57. ემინემი; 58. ოვერარმი; 59. რივიერა; 60. ვუალი; 61. დასტა; 62. ლევ; 63. რვა; 64. ადათი; 65. აკრი; 66. მძიმე; 67. ბუში; 68. ლოა; 69. აბა; 70. იდეა; 71. იასპი; 72. ასი; 73. „ამოკი“; 74. ბაროუ; 75. სტაბია; 76. ნაბლა; 77. ბია; 78. მნე; 79. რაბი; 80. ლოტოსი; 81. მუშამბა; 82. იარა; 83. კუ; 84. ია; 85. ალპაკა; 86. კაი.

1.პროტეს-ტანტების მღვდელი
2. მჭევრმეტ-ყველი
3. ჩეხეთის დედაქალაქი
4. ლუი არმ-სტრონგის მეტსახელი
5.თანდა-ყოლილი ჭკუასუს-ტობა
6. კლდი-ა შვილის „ბედნიერი“ პერსონაჟი
7.მისტიკურ მოძღვრება-თა საერთო სახელწოდ.
8.მწვავე სუნის უფერო გაზი
9. იაპონ-ური აბანო
10. დიდი გარეული ფრინველი
11. ზო-დიაქოს ნიშანი
12. (წიგნ.) ბრძოლა
13. ქალაქი საფრან-გეთში
14. ზნე, ხასიათი
15. დეკორა-ტიული ყვავილი
16.პარფიუ-მერია ძველ ქართულში
17. სოფელი კასპის რაიონში
18.„ქვინის“ გიტარისტი ბრაიან ...
19.პატარა სისხლის-მწოველი მწერი
20.ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული
21. ბოტსვანის დედაქალაქი
22. ბაშკირეთის დედაქალაქი
23. 366-დღი-ანი წელი-წადი
24.ქართ. ყოველ-კვირეული ჟურნალი
25. ტაჯიკი მწერალი
26. (ძვ.) ძვირფასი საჩუქარი
27.გმირი ქალი ... წყნ-ეთელი
28. იტალიელი პოეტი
29. ნაპო-ლეონის მარშალი
30.შაქრის ლერწმის საჭრელი დანა
31. ეკლესიის მსახური
32.დროებით გაბატო-ნებული გემოვნება
33. მსახიობი ... ტაილერი
34.რძის ნაწარმი
35.ბისმარ-კის სახელი
36. ინგლი-სის ექსპრე-მიერი
37.მგელი ვაჟას მოთხრო-ბიდან
38. ლექსის სტრიქონი
39.ფრანგი მწერალი ... ბაზენი
40. მოკლე მუსი-კალური მისალმება
41. ირაკლი ჩარკვიანის ფსევდონიმი
42.თმის მცენა-რეული საღებავი
43. ქართული მონასტერი ბულგარეთში
44. ცხიმოვანი სიმსივნე
45. მეგრული კერძი
46.ინგლ. მუსიკოსი ... სტიუარტი
47. მწერალი ... იოსელიანი
48. „ხმადაბლა“ - მუსიკაში
49. ვეგ-გვერდების ერთობ-ლიობა
50.მუსი-კალური გამის V ნოტი
51. .სიკვდილით დასასჯელი მოედანი
52. პარაგვაის ჩაი
53. თავსართი, რომელიც აღნიშნავს მოქმედების გამეორებას
54. ქალაქი დასავლეთ უკრაინაში
55. იაპონური მიმართვის ფორმა
56. აიეტის გრძნეული ასული
57.ჩინელი ფილოსო-ფოსი ლაო-...
58. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
59. აბრეშუმის ქსოვილი
60. მომღერალი ქრისტინე ...
61. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი
62.დიდი წვეულება, ქეიფი
63. სოფელი ყაზბეგის რაიონში
64. დიდი მუწუკი

ლუბლიანა – უცოლოების ქალაქი

ათასგვარი რეიტინგებით ცნობილმა ჟურნალმა „ფორბსმა“, გამოკითხვის შედეგად, სლოვენიის დედაქალაქი ლუბლიანა უცოლოებისთვის მსოფლიოში საუკეთესო ქალაქად აღიარა. ასეთი არჩევანი იმითაა განპირობებული, რომ აქ უამრავი გასართობია და ფასებიც შედარებით დაბალია. ერთი კათხა ლუდი, საშუალოდ, 2,4 ევრო ღირს, ყავა — 1,2 ევრო. უმშვენიერეს ქალაქში, რომელსაც ტურისტების სამოთხესაც უწოდებენ, უამრავი კაფეა და მისაღები ფასებია ტაქსით მგზავრობაზე, რაც აქ ჩასულ ტურისტს ყველაზე მეტად ხიბლავს. ქუჩის კაფეების კულტურა კი ლუბლიანაში ლამის რელიგიური რიტუალების რანგშია აყვანილი. კარგი კლიმატის გამო აქ კლიენტების ნაკლებობას არასოდეს უჩივიან. აღმოჩნდა, რომ ქალაქის სტუმრებს შორის ყველაზე მეტი უცოლო მამაკაცია, რომელიც საღამოს ქუჩაში გამართული ზეიმების ეპიცენტრში ექცევა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

„კოკა-კოლა“ თაიგულს დიდხანს ინახავს

ჰოლანდიელმა მეცნიერებმა სპეციალური გამოკვლევა ჩაატარეს იმის გასარკვევად, მოკრეფილ ყვავილებს სიცოცხლე როგორ გაუხანგრძლივონ. ფაქტი, რომ პრობლემის გამოკვლევა სწორედ იმ ქვეყნის წარმომადგენლებმა დაიწყეს, რომელიც მსოფლიო ლიდერია ყვავილების ექსპორტის მხრივ, გასაოცარი არ არის, კვლევის შედეგები კი მართლაც სენსაციური აღმოჩნდა: გაირკვა, რომ საუკეთესო მეთოდი ყვავილებისთვის სიცოცხლის გახანგრძლივებისა — გაზიანი სასმელია: „კოკა-კოლა“, „ფანტა“, „სპრაიტი“ და სხვ. წყალში ამ „ნივთიერების“ დამატების შემდეგ თაიგული გაცილებით მეტხანს ცოცხლობს და უნდა ვივარაუდოთ, რომ მიზეზი სასმელში შაქრისა და მჟავების მაღალი შემცველობაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყვავილებს „არ მოეწონათ“ „კოკა-კოლა ლაითი“, რომელიც ნაკლებ კალორიას შეიცავს.

არჩევნებზე ჭკვიანები დადიან

მეცნიერთა ჯგუფმა ედინბურგის უნივერსიტეტიდან საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა — ერთმანეთს შეადარა ადამიანების ინტელექტი და მათი პოლიტიკური ქცევები. ექსპერიმენტის შედეგები ერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა: რაც უფრო მაღალი IQ აქვს ბავშვს, მით მეტი შანსია, მომავალში აქტიური მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და არჩევნებზეც აუცილებლად წავიდეს. შოტლანდიელი სწავლულების გამოკვლევა სოლიდურ ბაზას ეფუძნება. უნივერსიტეტში სამი ათეული წლის განმავლობაში აგროვებდნენ ბრიტანეთის 17 200 მოქალაქის მონაცემებს, რომლებიც 1970 წელს არიან დაბადებულნი. რამდენიმე წელიწადში ერთხელ მათ ტესტირებას უტარებდნენ ინტელექტის დონის გასარკვევად, შემდეგ კი მონაცემებს ელექტორალურ საქციელს ადარებდნენ. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მაღალი იყო ამომრჩევლის IQ ბავშვობაში, მით ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა პოლიტიკურ საქმიანობაში ზრდასრულ ასაკში — დადიოდა მიტინგებზე, ხელს აწერდა პეტიციებს, მონაწილეობდა დისკუსიებში და სხვა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲐᲠᲗᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9		8		6	4			
				2			8	4
		3	9					
4		6	2					
3	2			7			9	5
					5	6		3
					2	7		
6	7			1				
			4	9		3		1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	2				6			3
6	7	5				2		
							7	
		4		1	8			
		7	6		3	9		
			9	7		8		
	9							
		2				4	8	9
7			3				1	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

3		7		5				6
			3			5	7	
4	1				5			3
	8			9			5	
7			8				1	9
	4	2			9			
5				6		7		2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	2	6	9			4		
8				4				
7					2			9
2	3			9		7	5	
9	8						3	1
	7	5		1			9	2
4			1					8
				7				5
		7			9	2	4	

გემრიელი ობი: კულინარიული სიძუნწის ისტორია

ამბობენ, რომ უგემრიელესი დელიკატესები ადამიანის სიძუნწის გამო გაჩნდა: ენანებოდათ დაობებული პროდუქტის გადაყრა და აი, მოიფიქრეს კიდეც, როგორ გამოეყენებინათ.

ობი სხვადასხვანაირია. როცა ის თვითონ ჩნდება, პროდუქტი გადასაგდებია, ხოლო, როცა მიკროორგანიზმებს სპეციალურად ამრავლებენ, მათ უფრთხილდებიან, თავს ევლებიან, ყველა პირობას ქმნიან, რათა ობი გაიზარდოს და პროდუქტს მთლიანად მოედოს, ზრდისა და კულტივაციისთვის ყველაფერს აკეთებენ, ამიტომაც „სნორ“ ობს „საგვარეულო ხე“ აქვს და მას „კეთილშობილსაც“ უწოდებენ.

ყველაზე ხშირად ობს, რასაკვირველია, ყველზე ამრავლებენ. ცისფერი, წითელი, თეთრი — ყველა სახეობის ყველს განუმეორებელ გემოსა და არომატს ანიჭებს. ცისფერ ყველს (ასე ობის ფერის გამო უწოდებენ) მიეკუთვნება ფრანგული როკფორი, იტალიური გორგონზოლა, ინგლისური სტილტონი და ბევრი, შედარებით იაფი ანალოგი, მაგალითად, დორ-ბლიუ. უძველესი ლეგენდის მიხედვით, ერთმა ფრანგმა მწყემსმა, რომელმაც გამოქვაბულში პური და ყველი დატოვა, უკან დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ ყველს ობის ცისფერი ძარღვები გასჩენოდა (სოკო Penicillium roqueforti), მაგრამ მშიერმა მაინც შეჭამა და მისდა გასაოცრად, დაობებული პროდუქტი უფრო გემრიელი აღმოჩნდა. შეიძლება მართლაც ასე იყო, მაგრამ მსგავსი რამ ფრანგულ ისტორიამდე უფრო ადრე მოხდა, რადგან ცისფერი ყველი ჯერ კიდევ რომის იმპერიისდროინდელ ლიტერატურაში მოიხსენიება.

Pinicillium camamberti-ისა და caseicolum-ის სოკოს სპორები ჰაეროვან, თეთრი ნალექივით ობს წარმოქმნის, რომელიც შემდეგ მკვრივ ქერქად იქცევა პოპულარულ ფრანგულ ბრისა და კამამბერზე. ამ ობის წყალობით, ეს რბილი ყველი უფრო ცხიმიანი და გემრიელი ხდება. ზოგიერთი სახეობის ყველს, ვიდრე ისინი „მწიფდებიან“, მწარმოებლები რეგულარულად უწყობენ მარილიანი წყლით „განბანვას“. ასეთი ჰიგიენური პროცედურის შემდეგ ყველის კვერები მკვრივი, ყვითელ-ნარინჯისფერი ან წითელ-ყავისფერი ობით იფარება. ასე ამზადებენ ცნობილ ფრანგულ სახეობებს — ეპუასს, მარუალს, ლივაროსა და არისტოკრატიულ მიუნსტერს, რომელიც „აბაზანას“ მხოლოდ და მხოლოდ შამპანიურში იღებს.

თუ ობიან ყველს ბევრი შეეჩვია, დამახასიათებელი თეთრი ნალექით დაფარულ ძეხვს ბევრი ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებს. არადა, ევროპაში გამოყვანილ ძეხვს სპეციალურად „აინფიცირებენ“ კეთილშობილი მიკროორგანიზმებით, რის გამოც ქერქზე განსაკუთრებული თეთრი ნალექი წარმოიქმნება. ის ძეხვის „დამწიფებასთან“ ერთად იზრდება და როცა მზად არის, ძეხვის ბატონს ობი უკვე მთლიანად ფარავს. მიიჩნევენ, რომ ობის სოკოები განსაკუთრებულ ანტიბიოტიკს გამოყოფს, რომელიც ძეხვს გაფუჭების უფლებას არ აძლევს. პროდუქტის „დაინფიცირება“ ძალიან ფრთხილად უნდა მოხდეს, რადგან ტექნოლოგიის დაუცველობის შემთხვევაში, ძეხვი საჭმელად ვარგისი აღარ იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არა მარტო მივირთმევთ ობს, არამედ ვსვამთ კიდეც. საკმაოდ სწორი გასტრონომიული შერწყმაა — როკფორი და სოტერნი. ყველა ფრანგული სოტერნი და საუკეთესო ავსტრიული ტკბილი ღვინოები ობმოკიდებული ყურძნისგან კეთდება. მებაღეებმაც კარგად იციან Botrytis cinerea-ის სოკოს შესახებ — ის მარწყვისა და ჟოლოს მოსავალს აფუჭებს, მაგრამ მისივე წყალობით ნამდვილი ალკოჰოლური შედევრები იქმნება. ყურძნის დასნებოვნების შემდეგ, თუ ამინდიც ხელსაყრელი იქნება (მშრალი და ცხელი), მეწარმის შრომა გამართლებული იქნება, წვიმიან ამინდში კი ობიანი ყურძნის მოსავალი გადასაყრელი ხდება. ეს იშვიათი ღვინოები განსაკუთრებით ძვირი ღირს, სამაგიეროდ, ისინი 100 წელზე მეტი დროით ინახება.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტენიანი კლიმატი შესანიშნავი გარემოა მიკროორგანიზმების განვითარებისთვის, ამიტომ ობის გამოყენება აზიელებმა ევროპელებზე ნაკლებად არ იციან. აზიური სამზარეულოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი სოიას სოუსი — სითხეა, რომელიც დაობებული სოიას მარცვლებიდან გამოიყოფა. „გაფუჭებული“ პროდუქტი იაპონური სამზარეულოს ბევრი კერძის საფუძვლადაც იქცა. ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებთა ერთ-ერთი საყვარელი საჭმელი ნატო — საზიზღარი სუნის მქონე წებოვანი მასაა ანუ დამპალი მარცვლებია, რომელიც ობის თეთრი, სქელი ფენითაა დაფარული. სუპი მისო კი, რომელსაც პლანეტის ნებისმიერ ადგილას, იაპონურ რესტორანში მოგართმევენ, სოკო Aspergillus oryzae-ით დასნებოვნებული ბრინჯით, სოიასა და ხორბლითაა მომზადებული.

ვაქცინა ინფარქტის წინააღმდეგ

ახალი ვაქცინა, რომელიც ინფარქტის განვითარების რისკს ამცირებს, ჰარვარდელმა სწავლულებმა შეიმუშავეს და სიახლის საფუძველი ადამიანის ღვიძლში არსებულ განსაკუთრებულ გენზე ზემოქმედების ტექნოლოგიაა. თუ მისი მუშაობა დარღვეულია, გულსისხლძარღვთა სისტემაში იზრდება ქოლესტერინის კონცენტრაცია, სისხლძარღვების შიდაკედლებზე ნადები კი ინფარქტის წარმოშობის საფრთხეს ქმნის. მეცნიერთა გათვლით, ახალ ვაქცინას შეუძლია ინფარქტის წარმოქმნის საფრთხე 30-90%-ით შეამციროს. სპეციალისტების მოსაზრებით, პრეპარატი მასობრივი მოხმარებისთვის ათ წელიწადში იქნება მზად.

ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘ ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ

აშშ-ს სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარები მოულოდნელ დასკვნამდე მივიდნენ — აღმოჩნდა, რომ რეგულარული შიმშილობა (მხოლოდ 4 დღემდე) აღადგენს ადამიანის იმუნურ სისტემას. საკვებზე დროებით უარის თქმა ასევე ქიმიოთერაპიის გვერდითი ეფექტების ნიველირებას ახდენს. ადრე სპეციალისტები კატეგორიულად უკრძალავდნენ შიმშილობას ავადმყოფებს. მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. გარდა კიბოთი დაავადებული პაციენტებისა, ხანმოკლე შიმშილობა ხანდაზმული ადამიანებისთვისაც სასარგებლოა.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით



1.კავშირ-გაბმულობის დაწესებულება
2. რკინის ნაერთი ნახშირბადთან
3. საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი
4. სხეულის რყევის საზღვრები
5.კედლის მოხატვის ერთ-ერთი ტექნიკა
6. ქაღალდის გრაგნილი
7. თვალის „ყავარჯენი“
8. წერილობითი მისალმება ვინმესადმი
9. წრეხაზის ნაწილი
10.დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა
11. „ჭრელი მთები“ აზიაში
12. იგივეა, რაც ქურციკი
13.უმცირესი შვიდნიშნა რიცხვი
14. გასართობი წარმოდგენა
15.სოფელი სენაკის რაიონში
16. ღეროთი შეერთ. 2 თამასა ფანჯრის ჩამოსაკიდად
17.მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება
18. საფრანგეთის ისტორიული ოლქი
19.შხამიანი ბუჩქოვანი მცენარე
20. ისტორიის მუზა
21. მიმდინარეობა ისლამში
22.სარჩიმელიას სახელი „დათა თუთაშხიაში“
23.მუჰამედ ალის ნამდვილი გვარი
24. ეტრუსკების ოთხსახოვანი ღმერთი
25. სახელმწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტი
26. პარაგვაის დედაქალაქი
27. საქართველოს უმაღლესი მწვერვალი
28.კუნძულ კრეტას უმაღლესი მწვერვალი
29. ადამიანის სამეტყველო ორგანო
30. კამერუნის დედაქალაქი
31.ქართუ-ლი ანბანის არქაული ასო
32.არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ბავშვი
33. უკრაინული ჩასაბერი საკრავი
34.არაბეთის მეფე „ვეფხისტყაოსანში“
35. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში
36. უგონო მდგომარეობა
37. ზევსის დედა
38. დაბალზამებული გვამი
39. წერილობითი თხოვნა მთავრობისადმი
40. წამლის დოზირების ფორმა
41.დარეჯანის მოახლე „კაცია-ადამიანში?!“
42. გეომეტრიული სხეული
43. დოკუმენტის მეორეგზემპლარი
44. წერაკითხვის შესასწავლი წიგნი
45. ექსკურსიამ-ძღოლი იტალიაში
46.დაავადების განვითარების უმაღლესი წერტილი
47. ნამდვილად არსებული ნივთი
48.ცხელი მატონიზირებელი სასმელი
49. ქალის ვარცხნილობის ტიპი
50.ქალთა მართლმადიდებ. მონასტ. წინამძღვარი
51. საფქვილე ყუთი წისქვილში
52. რუსეთის პარლამენტი
53. სამაგიდო თამაში
54. საკლავის ბეჭთაშუა ნაწილი, ქედს ქვემოთ
55.მძიმე შემთხვევა, უბედურება
56. (მედ.) ქსოვილთა დაშლის პროდუქტი
57. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
58. კატა „ოქროს გასაღებში“
59.ზოდიაქოს ნიშანი, იგივე ღრიანკალი
60.უფლისგან შერისხული ერთ-ერთი ქალაქი
61. მზის საგალობელი რაჭაში
62.ოთახის დეკორატიული მცენარე
63. არეტანსაცმლის ქვეშ გულმკერდთან
64. ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
65. ბალახის ჩრდილი
66. ასო იგრეკის „კოლეგა“
67. მითოლოგიური კვანძის „ავტორი“
68. აშშ-ის შტატი ...-აილენდი
69. ინგლისური ტრადიციული ლუდი
70. დიდი ბოთლი
71. ფანტომასის როლის შემსრულებელი
72. ბუდიზმის დამაარსებელი
73. თურქული მარგარინის მარკა
74. ვანოს მეგობარი გოგონა (ლექსი)
75. ბანქოს ერთგვარი თამაში
76. კავშირი ქართულ ენაში
77. „ატლეტიკო მადრიდის“ მეკარე
78. გრიბოედოვის კომედის „... ჭკუისაგან“
79.მომკილი თავთავის კონა
80.შექსპირის მეფე
81.პლანეტა იუპიტერი ძველ ქართულში
82.ფერიების და ელფების ხელმწიფე შუა საუკუნეების დასავლეთ-ევროპულ ფოლკლორში
83. რეგის მეფე ... მარლი
84. მადლობა - იტალიურ ენაში
85. ნოტიო და ჩახრეხული ფქვილი
86.სარწყავად გაყვანილი პატარა არხი

თვალებით სუნთქვა ისწავლა

საბრძოლო ხელოვნების ჩინელმა ოსტატმა თვალებით ამოსუნთქვა ისწავლა. ახლა მას შეუძლია ანთებული სანთლები ისე ჩააქროს, პირი და ცხვირი არ გამოიყენოს. 35 წლის ლინ ჩუუჟანგი ქალაქ კაიფენიდან იხშობს პირსა და ცხვირს, იკეთებს სპეციალურ სათვალეს, რომლის შუშებსაც ორი პატარა სპეციალური მილი უერთდება და ამ მილიდან ცეცხლს აქრობს. ამ მეთოდით მან ერთ წუთში 12 სანთლის ჩაქრობა მოახერხა. ჩინელის თქმით, ეს ოსტატობა კუნგ-ფუს დამსახურებაა, რომელსაც 8 წლის ასაკიდან მისდევს. მან ჯერ კიდევ ბავშვობაში აღმოაჩინა, რომ თვალებით სუნთქვა შესაძლებელია. როგორც ჩინური მედია იუწყება, ლინის უნიკალური შესაძლებლობები ამით არ ამოიწურება. ამ ტრიუკის გარდა, მას ლუდის ბოთლების დამტვრევა ისე შეუძლია, მხოლოდ ძირი მოძვრეს, დანარჩენი ნაწილი კი უვნებელი დარჩეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.